

შ 0 6 პ ა რ ს 0

ელენე ჯაჯანიძე, საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის განვითარების პრობლემები	გვ. 2
Elene Jajanidze, The Problems of Civil Integration Development in Georgia	გვ. 12
ნინო პოპიაშვილი, საზოგადოებრივი მულტილინგვიზმი და პოსტკოლონიური დისკურსი	გვ. 13
Nino Popiashvili, Multilingualism in Society and Postcolonial Discourse	გვ. 20
ნათია გორგაძე, ინფორმაციკურის გამოყენება კითხვის უნარების განვითარებისთვის	გვ. 21
Natia Gorgadze, Use of Information Graphics to Develop Reading Skills	გვ. 26
რუსულან ბრეგვაძე, სახელის ფუძისა და ზოგიერთი ბრუნვის ფორმის სწავლება აზერბაიჯანელთათვის	გვ. 27
Rusudan Bregvadze, Teaching Name Stem and Some Forms of Turnover for Azerbaijanians	გვ. 36
ნანა ბარჯაძე-მიხანაშვილი, კლასგარეშე ღონისძიებები – ბილიონგური სწავლების ერთ-ერთი საშუალება	გვ. 37
Nana Barjadze – Mikhanashvili, Outdoor Activities – One of the Way of Bilingual Teaching.	გვ. 42
ირინე შებითიძე, მეორე ენის სწავლების სტრატეგიები ზრდასრულთათვის	გვ. 43
Irine Shubitidze, Second Language Teaching Strategies for Adult Learners.	გვ. 49

ელენე ჯაჯანიძე

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული შორისო
ურთიერთობების ცენტრი

საქართველოში სამოქალაქო ინტებრაციის განვითარების პროგლომები

აპსტარქტი

წინამდებარე სტატიის მიზანია, მკითხველის ყურადღება კიდევ ერთხელ მიაპყროს სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხება და ინტერკულტურული განათლების მნიშვნელობას. სტატიაში წარმოდგენილია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემატიკა. განხილულია ინტეგრაციის ხელისშემლელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები. სტატია მკითხველს აგრეთვე გააცნობს საქართველოში ინტერკულტურული განათლებისა და სოციალური ინტეგრაციის აქტუალობასა და ამ კუთხით განხორციელებულ აქტივობებს. სტატიის ბოლოს მკითხველს ვთავაზობთ არაქართულენოვანი სტუდენტების შეხედულებათა ანალიზს მათი საქართველოში ინტეგრაციის შესახებ და აღნიშნული სირთულეების მოგვარების გზებს.

შესავალი

საქართველო მუდტიეთნიკური და მუდტიკულტურული ქვეყანაა. 2002 წლის აღწერის მიხედვით, მოსახლეობის 16,2 % ეთნიკურად არაქართველია, მათგან უმეტესი წილი სომხებსა და აზერბაიჯანელებზე მოდის (6,5% - 5,7%). საქართველოში აგრეთვე ცხოვრობენ ქურთები, იეზიდები, ებრაელები, ბერძნები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, შედარებით მცირე რაოდენობით. განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობა იწვევს ლინგვისტურ, რელიგიურ და კულტურულ განსხვავებულობას. თითოეული ეთნიკური ჯგუფი წარმოადგენს თვითმყოფად კულტურულ ერთეულს.

რომელსაც

ამავდროულად განსხვავებული მსოფლმხედველობა ახასიათებს. ეთნიკური ჯგუფების კულტურა და ტრადიციები თავისთავად საინტერესო და დასაფასებელია, თუმცა ურველდღიური საჭიროებები ეროვნულ უმრავლესობასთან ინტეგრაციის აუცილებლობის საკითხსაც დღის წესრიგში აყენებს.

საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარებას, რაც გულისხმობს კულტურათა შორის ტოლერანტობის ჩამოყალიბებას, მრავალმხრივ ხედვას, საერთო დირებულებებისადმი პატივისცემასა

და კონფლიქტური
თავიდან არიდებას.

ტოლერანტული

დამოკიდებულებების განვითარებისა და
სამოქალაქო ინტეგრაციის
ხელშეწყობის სხვადასხვა მექანიზმი
არსებობს. მათგან ყველაზე
მნიშვნელოვანი და ეფექტური
საშუალებაა სამოქალაქო ინტეგრაცია
ინტერკულტურული განათლების გზით.
სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი
საქართველოსთვის, არსებული
ეთნიკური ფონიდან გამომდინარე,
განსაკუთრებით აქტუალურია.
ინტერკულტურული განათლების
მნიშვნელობამაც ბოლო წლებში
განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა.
სამოქალაქო ინტეგრაციის
განვითარებას, უპირველეს ყოვლისა,
მხარს უჭერს საქართველოს
სახელმწიფო, რაც სახელმწიფო
კონსტიტუციაშიც აისახება.

**საქართველოს კანონმდებლობა
ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის
შესახებ**

საქართველოს კონსტიტუცია
ყველა მოქალაქეს, განურჩევლად
ეთნიკური წარმომავლობისა, ანიჭებს
თავისუფალი სოციალურ-ეკონომიკური
და კულტურული განვითარების
უფლებას (საქართველოს კონსტიტუცია,
თავი 4, მუხლი 129). საქართველოს
კანონი იცავს ეთნიკური
უმცირესობების უფლებას, ისაუბრონ,
წერონ და ილაპარაკონ მშობლიურ
ენაზე. უფრო მეტიც, ზოგადი
განათლების კანონში ხაზგასმულია,

რომ „საქართველოს მოქალაქეებს,
რომლებისთვისაც ქართული ენა
მშობლიური არ არის, უფლება აქვთ,
მიიღონ სრული ზოგადი განათლება
მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული
სახწავლო გეგმის შესაბამისად,
კანონმდებლობით დადგენილი წესით“
(მუხლი 4, პუნქტი 3). ხოლო ამავე
კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის
თანახმად, „სკოლა ვალდებულია,
დაიცვას და ხელი შეუწყოს
მოსწავლეებს, მშობლებსა და
მასწავლებლებს შორის და
შემწყნარებლობისა და
ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას,
განურჩევლად მათი სოციალური,
ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური
და მსოფლმხედველობრივი
კუთვნილებისა“. გარდა ამისა,
საქართველოს ზოგადი განათლების
კანონი იცავს უმცირესობის უფლებას,
„ისარგებლონ მშობლიური ენით,
შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი
კულტურული კუთვნილება“.

2009 წლის 8 მაისს საქართველოს
მთავრობის მიერ დამტკიცებული
სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია
მიზნად ისახავს „ტოლერანტობისა და
ურთიერთპატივისცემის გარემოს
შექმნას საქართველოში მცხოვრებ
ყველა პირს შორის, საქართველოს
ყველა მოქალაქის უზრუნველყოფას
სამოქალაქო, პოლიტიკური,
ეკონომიკური და სოციალური
უფლებებით სარგებლობისათვის“,
აგრეთვე „აუცილებელი პირობების
შექმნას ეროვნული უმცირესობების
კულტურის შენარჩუნებისა და

განვითარებისათვის,
თვითმყოფადობის მიზანთადი
ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის,
ტრადიციებისა და კულტურული
მემკვიდრეობის დაცვისათვის“
(შემწყნარებლობისა და სამოქალაქო
ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია,
მე-2 თავი, 2009). საქართველოს
სახელმწიფო არამხოლოდ
კონსტიტუციურად უჭერს მხარს
ეთნიკური უმცირესობების განათლებისა
და ინტეგრაციის საკითხს, არამედ 2010
წლიდან აქტიურად იწყებს ბილინგვური
პროგრამების პილოტირებას
არაქართულენოვან სკოლებში.

გარდა ამისა, დაინერგა
საგანმანათლებლო და კულტურული
ხასიათის პროექტები, რომელთა
მიზანია ეროვნული უმცირესობების
ინტეგრაცია ქავენის მოსახლეობის
უმრავლესობასთან. სახელმწიფო
პოლიტიკის ინიციატივით დაიწყო
არაქართულენოვან სკოლებში
სახელმწიფო ენის მხარდამჭერი
მულტილინგვური პროგრამების
განხორციელება. განათლების
სამინისტრომ დაგეგმა და
განახორციელდა სპეციალურად
ბილინგვური პროგრამის
მასწავლებლებისათვის ტრენინგები და
მოხდა მათი გადამზადება. სამინისტროს
მიერ გატარებული ღონისძიებების
გარდა, საქართველოში არსებული
არასამთავრობო ორგანიზაციები
ეთნიკური უმცირესობებისათვის ქმნიან
პროგრამებს, რომლებიც ხელს
შეუწყობს მათს სამოქალაქო
ინტეგრაციასა და განათლებას.

მაგალითად, თბილისში ფუნქციონირებს
„სამოქალაქო ინტეგრაციისა და
ეროვნებათმორისი ურთიერთობების
ცენტრი“ (CCIR), რომლის
ძალისხმევითაც ხორციელდება
პროგრამები ეთნიკური უმცირესობების
განათლებისა და ინტეგრაციისათვის.
ორგანიზაციაში მომზადდა სპეციალური
სახელმძღვანელოები
არაქართულენოვანი
მოსწავლეებისათვის („საიმედო“), ასევე
მომზადდა ქართულ-აზერბაიჯანული და
ქართულ-სომხური ლექსიკონები,
რომლებიც ხელს შეუწყობს
არაქართულენოვან მოსწავლეებს
ქართული ენის შესწავლაში.
„სამოქალაქო ინტეგრაციისა და
ეროვნებათმორისი ურთიერთობების
ცენტრი“ 2011 წლიდან ასევე
ახორციელებს პროექტს „გახდი
თანამონაწილე“, რომლის მიზანია
ეროვნული უმცირესობების
წარმომადგენელი ახალგაზრდების
სამოქალაქო შეგნების ამაღლება და
მათი საზოგადოებრივ ცხოვრებში
აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა.

გარდა ამ ორგანიზაციისა,
ეროვნული უმცირესობების
ინტეგრაციის საკითხებზე აქტიურად
მუშაობს სამცხე-ჯავახეთში
არასამთავრობო ორგანიზაცია
„დემოკრატიული მესხთა კავშირი“,
რომელმაც განახორციელა
ინფორმაციული სასიათისა და
ეროვნული თვითშეგნების
ამაღლებისაკენ მიმართული
პროგრამები. აღნიშნული ორგანიზაცია

აგრეთვე ახორციელებს ზრდასრულთა განათლების პროგრამას.

განათლების საკითხების პარალელურად, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს განვითარების კუთხითაც. 2010 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, დაფინანსდა ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული, ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული და პეტროს ადამიანის სახელობის სომხური თეატრები. მათ სპექტაკლები გამართეს როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, აგრეთვე საგასტროლო პროგრამა წარმოადგინეს სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამავე წელს სახელმწიფო დაფინანსებისა და მხარდაჭერის შედეგად, დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა მოაწყო გამოფენა და გამოსცა სამეცნიერო კონფერენციის მასალები „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა“. კულტურული მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე სამუსიკო სკოლებსა და კულტურულ ცენტრებში. 2011 წლის 11 ივნისს, ქ. მარნეულში ჩატარდა მრავალეთნიკური მუსიკალური ფესტივალი სახელწოდებით „ერთი ცის ქვეშ“.

ბოლო წლებში გახშირდა ეთნიკურ უმცირესობათა ტრადიციული დღესასწაულების აღნიშვნა. 2011 წელს გაიმართა აზერბაიჯანის კულტურის დღეები ბოლნისში, ხოლო მარნეულში ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული

(შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები. 2010/2011). აღნიშნული კულტურული სახის აქტივობები მნიშვნელოვანია სამოქალაქო ინტეგრაციისა და კულტურათა შორისი დიალოგის ხელშეწყობისათვის, აგრეთვე ეთნიკური უმცირესობების კულტურული და ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ამ მიზნითვე, 2011 წლის სამოქმედო გეგმაში შევიდა ახალქალაქში, ახალციხესა და ნინოშვილიდაში საკლუბო დაწესებულებებისა და სახელოვნებო სკოლების განვითარების ხელშეწყობა.

ეთნიკური უმცირესობების კულტურული დღეებისა და ტრადიციული დღესასწაულების აღნიშვნა, კულტურული და ინფორმაციული თვალსაზრისით, გამადიდრებს ქართულ გარემოს. ხელს შეუწყობს ქართულენოვანი მოსახლეობისათვის მეზობლად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ეროვნული ტრადიციების გაცნობას, ხოლო მათ ურთიერთდამოკიდებულებას შეპმატებს პატივისცემასა და თანაგრძნობას. ამავდროულად, თავიდან ავიცილებთ ეთნიკური უმცირესობების მხრიდან კარჩაკეტილობასა და იზოლაციას. კულტურული და ენობრივი თავისუფლება, ეროვნული უმრავლესობის მხრიდან მათი ტრადიციების დაფასება - გამოიწვევს საპასუხო რეაქციას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ეთნიკური ჯგუფების

მოქალაქეობრივ და კულტურული ინტეგრაციას საქართველოში.

კულტურის გზით ინტეგრაცია ერთ-ერთი საშუალებაა ეთნიკური უმცირესობებისათვის სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების ინტერკულტურული განათლების გზით ინტეგრაცია საქართველოში. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამ კუთხით საქართველოში არაერთი დონისძიება ტარდება. ინტერკულტურული განათლების კუთხით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინიციატივაა სახელმწიფოს „საშედავათო პოლიტიკის“ დანერგვა, რომელიც მიმართულია არაქართულენოვანი სტუდენტების ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ხელშეწყობისკენ.

„საშედავათო პოლიტიკა“ - ინტერკულტურული განათლებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის

ინტერკულტურული ურთიერთობებისა და ეთნიკური უმცირესობებისათვის მიღების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2009 წლიდან აამოქმედა ე. წ. „საშედავათო პოლიტიკის“ პროგრამა. პროგრამა გულისხმობდა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანული, სომხური, ოსური და აფხაზურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს

სასწავლებლებში სტუდენტების მიღებას. საშედავათო პოლიტიკის დებულების მიხედვით, „ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ ერთწლიანი კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტებს საკმარისად პქონდეთ განვითარებული ენობრივი და საკომუნიკაციო უნარები უმაღლეს სასწავლებელში დექციების ქართულ ენაზე მოსახმენად, გასაგებად და კომუნიკაციის დასამყარებლად, როგორც დექტორ-მასწავლებლებთან, ისე თანაკურსელებთან – ეს არის წარმატებული სოციალური და პერსონალური ურთიერთობის საწინდარი“ (პოლიტიკის დებულება).

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს სწავლის გაგრძელების უფლება ექნება ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის / სტომატოლოგის / ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მხოლოდ ქართულ ენაზე.

სახელმწიფოს მულტიკულტურული განათლების პოლიტიკამ გარკვეული შედეგები გამოიღო. „საშედავათო პოლიტიკის“ პროგრამის შესახებ არაქართულენოვან სკოლებსა და მოსახლეობაში ინფორმაციის ფართოდ გავრცელებამ ხელი შეუწყო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული არაქართულენოვანი აბიტურიენტების რაოდენობის ზრდას. 2008 წელთან

შედარებით ჯერ კიდევ 2010 წელს გამოცდებზე დარეგისტრირებულ აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების რაოდენობა 250-დან 335-მდე გაიზარდა (34%-ით), სომხურენოვანისა - 113-დან 253-მდე (123,8%) (შ. ტაბატაძე. 2011). ხოლო 2012 წელს არაქართულენოვანი აბიტურიენტებისათვის გამოყოფილი იყო სულ 2242 კვოტირებული ადგილი და დარეგისტრირდა 1187 არაქართულენოვანი მოსწავლე (www. naec.ge). უკანასკნელი მონაცემები წინა წლებთან შედარებით არაქართულენოვანი მოსწავლეების საქართველოში ინტეგრაციისადმი გაზრდილ მოტივაციაზე მეტყველებს. აღნიშნული პროგრამა არაქართულენოვან სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, ისწავლოს საქართველოს ნებისმიერ აკრედიტებულ უნივერსიტეტში. თუმცა, ჰველაზე დიდი რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისა საქართველოს სამ უნივერსიტეტზე ნაწილდება, ესენია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი. არაქართულენოვანი სტუდენტები ყველა სასწავლო დაწესებულებაში ერთი და იმავე პროგრამის მიედვით სწავლობენ. განსხვავებული პროგრამა გააჩნია მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული, როგორც მეორე ენის სწავლების კურიკულუმი, 2010). განსხვავებულობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება პროგრამის

სტრუქტურით. შედარების მიზნით, გთავაზობთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის კურიკულუმებიდან ამონარიდებს: ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა

სრულუფლებიანი სტუდენტის სტატუსის მინიჭება მოხდება სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული კურსების გავლის საფუძველზე. სტუდენტმა უნდა მოაგროვოს 60 კრედიტი შემდეგი კურსების გავლის შედეგად:

პროგრამის სტრუქტურა

სრულუფლებიანი სტუდენტის სტატუსის მინიჭება მოხდება სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული კურსების გავლის საფუძველზე. სტუდენტმა უნდა მოაგროვოს 60 კრედიტი შემდეგი კურსების გავლის შედეგად:

- ქართული ენის ინტეგრირებული კურსი 1 და 2 – 24 კრედიტი (12 + 12)
- ენა და კულტურათშორისი დიალოგი - 6 კრედიტი
- მედიაკურსი 1 და 2 – 12 კრედიტი (6 + 6)
- მინიპროექტები - 6 კრედიტი
- დარგობრივი ენის კურსი - 6 კრედიტი
- წინასაგამოცდო კურსი - 6 კრედიტი

თუ სტუდენტი რომელიმე ამ კურსის კომპეტენციას აკმაყოფილებს, მას შეუძლია გაიაროს პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სხვა არჩევითი კურსები.

თუ სტუდენტი რომელიმე ამ კურსის
კომპეტენციას აქმაყოფილებს, მას
შეუძლია გაიაროს პროგრამის

ფარგლებში შემოთავაზებული სხვა
არჩევითი კურსები.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი

სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა
ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ა. ლაპარაკი; ბ. მოსმენა; გ. კითხვა; დ. წერა) – 1	20
ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ა. ლაპარაკი; ბ. მოსმენა; გ. კითხვა; დ. წერა) – 2	15
ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-1	5
ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-2	5
ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები-1	5
ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები- 2	5
ქართული ენის ორთოეპია და მართლწერა	5

თითოეული განხილული პროგრამა ოთხი ენობრივი კომპეტენციის: წერის, კითხვის, ლაპარაკისა და მოსმენის უნარების განვითარებას ემსახურება. როგორც სქემიდან ჩანს, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროგრამა კომპეტენციების განვითარების მიხედვით ცალ-ცალკე მიმართულებებადაა დაყოფილი. ამის საპირისპიროდ, ილიაუნის პროგრამა ინტეგრირებულია და თითოეული მიმართულება მოიცავს ოთხივე ენობრივი უნარის განვითარების ხელშეწყობას. ილიაუნის პროგრამის მიხედვით, არაქართველი სტუდენტები თანამშრომლობენ ქართველ სტუდენტთან, რასაც ქართული ენის ინტეგრირებული კურსი ითვალისწინებს.

ქართველი სტუდენტები ეხმარებიან ეთნიკურ უმცირესობებს სხვადასხვა პროექტის შედგენაში, მასალის მოძიებაში. ქართველ სტუდენტებს ეს დახმარება კრედიტებად ეთვლებათ. შესაბამისად, ორიგე მხარე მოტივირებულია და შედგენ ეფექტურია (თ. ქვაჭრელიშვილი, 2012).

მკვეთრად განსხვავებული მდგომარეობაა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამაზე. აქ ეთნიკური უმცირესობები ეთნიკური ნიშნით არიან დაყოფილი და სხვადასხვა ჯგუფში სწავლობენ. მათ ერთმანეთთან შეხება, სასწავლო თვალსაზრისით, თითქმის არ აქვთ. გარდა ამისა, 2011 წლიდან აღნიშნული

პროგრამის სტუდენტები სწავლობენ მათთვის ცალკე გამოყოფილ კორპუსში. ეს ფაქტი იმთავითვე აღიქმება, როგორც ხელისშემსლელი ფაქტორი ქართულ სტუდენტურ საზოგადოებასთან მათი ინტეგრაციისათვის.

აღნიშნულ საკითხთან და ზოგადად ინტეგრაციის პრობლემასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ ზემოთ აღნიშნული პროგრამის, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტებს. მათ აგრეთვე ვთხოვეთ, დაესახელებინათ ის სირთულეები, რომლებიც უმრავლესობის ენაზე განათლების მიღებისას და ქართულ საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისას ხვდებათ.

სტუდენტებთან ინტერვიუს ანალიზი და დასკვნა

სტუდენტებს ქარგად აქვთ გაცნობიერებული ინტერესულტურული განათლების მნიშვნელობა. მიიჩნევთ, რომ ეს არის საშუალება, რომელიც მათ სრულ საზოგადოებრივ ინტეგრაციას ხელს შეუწყობს. სრულ ინტეგრაციაში ისინი მოიაზრებენ სრულუფლებიან მოქალაქეობას, ენის კარგად ცოდნას, კარგად ანაზღაურებად სამუშაოს, პატივისცემასა და აღიარებას საზოგადოების დანარჩენი წევრებისაგან.

„მე მინდა ეპონომისტი გამოვიდე, მინდა ქართული კარგად ვისწავლო და კარგი სამუშაო ვიპოვო“. „როცა სოფელში ვცხოვრობდი, ქართულს კარგად არ ვსწავლობდი. ახლა თბილისში ვცხოვრობ. ქართული

ქარგად უნდა ვისწავლო, რომ შემდეგის გაპეტება ისე შევძლო, როგორც ამას ქართველები აკეთებენ“ - გამოხატავენ სტუდენტები საკუთარ მოტივაციას ქართული ენის შესწავლის მიმართ. მათთან საუბრიდან გამოიკვეთა, რომ საცხოვრებელი გარემოსა და ფონის შეცვლამ სწავლის მოტივაცია გაზარდა. ისინი არაქართულენოვანი სკოლებში სწავლობდნენ, გარემოც არაქართულენოვანი იყო. მოსწავლეები ქართული ენისა და კულტურის გაცნობის საჭიროებას ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ ამჩნევდნენ. დღეს მათი ინტერესები, გარემოს შეცვლის შედეგად, გარკვეულწილად შეიცვალა. „რაც თბილისში გადმოვედი, მიწვეს ქართულად ლაპარაკი. მაღაზიაში, ქუჩაში, როცა რაღაცის კითხვა მინდა. სკოლაში ქართული მარტო ქართულის გაკვეთილზე მჭირდებოდა...“ - ამბობს არაქართულენოვანი სტუდენტი.

არაქართულენოვანი სტუდენტების უმრავლესობისათვის სასურველია, რომ უნივერსიტეტში სასწავლო გარემო უფრო მეტად ქართული იყოს. როგორც უკვე აღნიშნეთ, „საშედავათო პოლიტიკის“ ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში არაქართულენოვანი მოსწავლეები, ეთნიკურად აზერბაიჯანელები და სომხები უნივერსიტეტის ერთ სასწავლო კორპუსში სწავლობენ. აქ ქართულენოვანი სტუდენტები არ არიან. გარდა ლექციებისა, მათ უნივერსიტეტში ქართულ ენაზე

საუბარი და მოსმენა არ უწევთ. შესვენებაზე ერთმანეთთან მშობლიურ ენაზე მეტყველებენ. ეთნიკურად სომხებსა და აზერბაიჯანელებს ერთმანეთთან ურთიერთობაც უჭირთ. მათ ერთმანეთის ენა არ იციან, ქართული ენისა და სხვა საერთო ენების არასაკმარისად ფლობის გამო კი ურთიერთობას თავს არიდებენ. სტუდენტების აზრით, კარგი იქნებოდა, თუ უნივერსიტეტი ქართულენოვანი სტუდენტებიც ისწავლიდნენ. ამ გზით მეტ ქართველ მეგობარს შეიძენდნენ, ერთმანეთს აზრებს ქართულ ენაზე გაუზიარებდნენ. ეს მათ ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის გაგებისთვის, ერთმანეთის ტრადიციებისა და კულტურის უფრო კარგად გაცნობისთვის დაეხმარებოდათ. გარდა ამისა, მათი სურვილია, გაეცნონ ქართულ სტუდენტურ ცხოვრებას. მოიქცნენ ისე, როგორც ქართველები იქცევიან.

„შესვენებაზე გარეთ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გავდივართ. ოთახში ვლაპარაკობთ ხოლმე. სხვა სტუდენტებს არ ვიცნობ“. კითხვაზე, თუ რას მოუტანდათ მათ ქართველ სტუდენტებთან ყოველდღიური ურთიერთობის შესაძლებლობა, მათ გვიპასუხეს, რომ ამით საშუალება მიეცემოდათ, კარგად გასცნობოდნენ ქართველ ახალგაზრდებს. ისინი დაეხმარებოდნენ ზოგიერთი პრობლემის მოგვარებაში, რასაც, მაგალითად, ლექტორს ვერ სთხოვენ. ერთად წავიდოდნენ კინოში ან კლუბში... „თბილის ჯერ კარგად არ ვიცნობ.

მყავს ერთი-ორი მეგობარი, ჩემი მეზობელი. როცა სადმე წასვლა მინდა, მათ ვეკითხები. ხანდახან ისინი რესტორანშიც მპატიუბებენ“ - აღნიშნავს ერთ-ერთი სტუდენტი ბიჭი და სურს, რომ უფრო მეტ ქართველთან იმეგობროს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე მათ მიმართ ქართული საზოგადოების განწყობის ზოგადი შეფასება. ისინი აღნიშნავენ, რომ ენის არცოდნა მათ ხშირად აყენებთ უხერხულ სიტუაციებში. უხერხული სიტუაციები იქმნება ყოველდღიურ ცხოვრებაში: ხშირად ჰქონიათ შემთხვევა, როდესაც მაღაზიებში რაიმეს ყიდვის დროს, ან ტრანსპორტით მგზავრობისას, ქართულად ცუდად ლაპარაკის გამო, მათთვის დაუცინიათ. თუმცა, ამავდროულად, აღნიშნავენ, რომ ქართული სამეზობლო გარემო მათ მიმართ კეთილგანწყობილია, მათთან ურთიერთობას არ გაურბიან. განსაკუთრებით აღნიშნავენ თანატოლების გვერდით დგომასა და მხარდაჭერას. „დიდი ასაკის ადამიანებთან ლაპარაკი მიძნელდება, ისინი ხშირად მეკითხებიან, რა ეროვნებისა ვარ. ალბათ იმიტომ, რომ ქართულს ცუდად ვლაპარაკობ. ჩემს ტოლ ბიჭებთან ვმეგობრობ“.

დასახელებული პრობლემების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ჰქონდეთ უფრო მეტად ქართული გარემო და ქართველებმა ისინი მიიღონ, როგორც მათი საზოგადოების, მათი

უოველდღიური	ცხოვრების	მიმართ,	აგრეთვე	საქართველოს
შემადგენელი ნაწილი.	ქართული	ეთნიკურად	და	ენობრივად
სახელმწიფოსა და	ქართველი	მრავალფეროვანი		ისტორიული
ახალგაზრდების	ზოგადი	წარსული.		მშვიდობიანი
კეთილგანწყობილი	დამოკიდებულება	თანაცხოვრებისა	და	ეთნიკური
ეთნიკური განსხვავებულობის	მიმართ	მრავალფეროვნების		შენარჩუნების
პროგრესული	ნაბიჯია	თვალსაზრისით	მნიშვნელოვანია, რომ	
ტოლერანტულობისაკენ.	ამის მიზეზი	ყველა კომპეტენტური	ინსტიტუცია,	
შეიძლება იყოს როგორც ზოგადად		თითოეული მოქალაქე დაქმაროს და		
ტოლერანტული	დამოკიდებულების	ხელი შეუწყოს	საქართველოში	
განვითარების	ტენდენცია ეთნიკური	მცხოვრებ ეთნიკურ	უმცირესობებს	
და რელიგიური	მრავალფეროვნების	სოციალიზაციაში.		

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბიტურიენტთა რეგისტრაციის შედეგები. გამოცდები ეროვნული ცენტრი, 2012 [Online] Available: <http://www.naec.ge/erovnuli-erovnuli-gamocdebi/ertiani-erovnuli-gamocdebi-siakhleebi/2754-2012-tslis-erthiani-erovnuli-gamocdebis-abiturienttha-registraciis-shedegebi.html?lang=ka-GE> [Accessed 9 July 2012]
- ტაბატაძე, 2010 – შ. ტაბატაძე, ბილინგვური განათლების პროგრამები; რა არჩევანი აქვთ საქართველოში საჯარო სკოლებს. ჟურნალი ბილინგვური განათლება №1. [Online] <http://www.bilingualeducation.ge/articles/id/13> [Accessed 18 April 2012]
- ქვაჭრელიშვილი, 2012 – თ. ქვაჭრელიშვილი, არაქართველ სტუდენტთა ინტეგრაციის პრობლემები უმაღლესი სკოლის მოსამზადებელი პროგრამის ფარგლებში. სამაგისტრო ნაშრომი.
- შემწენარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია, 2009 [Online] Available <http://diversity.ge/geo/concept.php> [Accessed 21 November 2012]
- შემწენარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები. 2010/ 2011, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო.
- შოფტალერი, 1984 - Schoeftaler, T. (1984) 'Multikulturelle und Transkulturelle Erziehung: Zwei Wege zu kosmopolitischen kulturellen Identitäten' [Online] International Review of Education, Vol. 30, N 1, pp.11-24. Available:www.jstor.org/discover/10.2307/3444200 [Accessed 15 November 2012]

Elene Jajanidze

Center for Civil Integration and Inter-Ethnic Relations

The Problem of Civil Integration Development in Georgia

ABSTRACT

The article dedicates to present the importance of civil integration and intercultural education. The article presents the problem of civil integration for non-Georgian citizens. The paper suggests several difficulties and methods to overcome the problems. The paper also presents the importance of intercultural education and activities of social integration in Georgia. At last, the article suggests the analyses of non-georgian-student's appearance about difficulties by integration process in Georgia.

ნინო პოპიაშვილი

იგანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივი მულტილინგვიზმი და პოსტკოლონიური დისკურსი

პისტორია

მულტილინგვიზმი, როგორც ტერმინი, თავის თავში მოიცავს საზოგადოებრივი მულტილინგვიზმის ცნებასაც. საზოგადოებრივი მულტილინგვიზმი იქმნება ისეთი კონტექსტური ფაქტორების გავლენით, როგორებიცაა საერთაშორისო მიგრაცია, კოლონიალიზმი, ასევე, საერთაშორისო საზღვრები ორ ქვეყანას შორის, სადაც არსებობს განსხვავებული სახელმწიფო უნივერსიტეტები.

საზოგადოებრივი მულტილინგვიზმის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი არსებობს, მათ შორის კველაზე ხშირია პოლიტიკური და ისტორიული ცვლილებებით გამოწვეული შემთხვევები.

პოლიტიკური ცვლილებებით გამოწვეული საზოგადოებრივი მულტილინგვიზმის ერთ-ერთი მთავარ მიზეზად ითვლება ქვეყნის საზღვრების გაფართოებისა და კოლონიების არსებობის პერიოდი. ყოფილი კოლონიური ქვეყნები, რომლებიც დღეისათვის დამოუკიდებელი ქვეყნების სტატუსს ფლობენ, კვლავაც არიან გარკვეულად დამოკიდებული ენობრივ და კულტურულ დონეებზე იმ ქვეყნებთან, რომელთა კოლონიებსაც წარმოადგენდნენ. პოსტკოლონიური ქვეყნის განვითარებასთან ერთად, აღნიშნული მდგრმარეობა და დამოკიდებულის რანგი, შესაბამისად, იკლებს, ან იზრდება.

მულტილინგვიზმი, როგორც ტერმინი, რამდენიმე ცნებად შეიძლება დაიშალოს. თავისი ერთ-ერთი პირველი და/ან ძირითადი მნიშვნელობით, მულტილინგვიზმი გულისხმობს ინდივიდის მიერ ერთზე მეტი ენის გამოყენებას. ასევე, მულტილინგვიზმი ნიშნავს ერთი სახელმწიფოს შიგნით ერთზე მეტი ენის გამოყენების აუცილებლობას. ინდივიდუალურ დონეზე მულტილინგვიზმი გაიგივებულია ბილინგვიზმთან (ალბაირაკი 2007, გვ. 36), რადგან, უმრავლეს შემთხვევაში,


მაშინაც კი, როდესაც ინდივიდი სამ ან მეტ ენას ფლობს, ენათა მოხმარების თვალსაზრისით, ერთი სახელმწიფოს შიგნით, აქცენტი ძირითადად ორ ენაზე კეთდება, თუმცა, ბუნებრივია, შესაძლებელია დავასახელოთ გამონაკლისებიც.

ორი და მეტი ენის ფლობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის შეჯელობენ იმის შესახებაც, რომ ბილინგვიზმი, ისევე როგორც მულტილინგვიზმი, არ შეიძლება ჩაითვალოს ორი ენის თანაბრად ფლობად. ბილინგვიზმის


შემთხვევაში ორ ენას შორის მუდმივად არის ერთ-ერთის ცოდნის უპირატესობა. მულტილიგვიზმის, იგივე მრავალენოვნების შემთხვევაში კი კიდევ უფრო თვალსაჩინოა სხვაობა მშობლიურ

ენას/პირველ ენასა და მეორე ენას შორის, ასევე, უცხო ენასა/ენებსა და მეორე ენას შორის. მულტილიგვიზმის შემთხვევაში განასხვავებენ აგრეთვე პირველ და მეორე უცხო ენას/ენებს.

ბილიგვიზმი



მულტილიგვიზმი



მულტილიგვიზმი, როგორც ტერმინი, თავის თავში მოიცავს აგრეთვე საზოგადოებრივი მულტი-ლიგვიზმის ცნებასაც. საზოგადო-ებრივი მულტილიგვიზმი იქნება ისეთი კონტექსტში ფაქტორების გავლენით, როგორებიცაა საერთაშორისო მიგრაცია (მაგ. ამერიკის შეერთებული შტატები), საერთაშორისო საზღვრები მართვის სახით, სადაც არსებობს საზღვრებელი სახელმწიფო ენები; საფრანგეთის შორის, ავსტრიასა და უნგრეთის შორის);

არგენტინა, ავსტრალია); კოლონიალიზმი (მაგ. უელსი, კენია, მაროკო). ასევე, საერთაშორისო საზღვრები მართვის სახითაც შორის, სადაც არსებობს განსხვავებული სახელმწიფო ენები (მაგ. საზღვრები გერმანიასა და საფრანგეთის შორის, ავსტრიასა და უნგრეთის შორის);

ასევე, არსებობს ე. წ. **ეთნიკური და ლინგვისტური ანკლავები**, გერმანულად – Sprachinseln... ასევე, საზოგადოებრივი მულტილინგვიზმის ცნებაშივე უნდა მოვიაზოოთ ერთი სახელმწიფოს შიგნით არსებული, განსაკუთრებული პოლიტიკური და / ან ლინგვისტური სტატუსის მქონე რეგიონალური ენები (მაგ. იტალიის შემადგენლობაში - გერმანული ენა, რომელიც სამხრეთ ტიროლის რეგიონის ერთ-ერთი ოფიციალური ენაა, ასევე, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში მყოფი ჩრდილოეთ ირლანდია და ირლანდიური ენა, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიაში ოფიციალური ენაა; ან აფხაზური ენა საქართველოს რესპუბლიკაში და სხვა). ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ინდივიდი უოველდღიურად იყენებს ორ და მეტ ენას. საზოგადოებრივი მრავალეროვნების დროს ხშირია ინსტიტუციური მრავალეროვნება, როდესაც კონკრეტულ ქვეყნის და/ან რეგიონში ოფიციალური – ინსტიტუციური ენა არის ორი ან რამდენიმე. მაგ. შვეიცარიაში, ასევე, სასაზღვრო რეგიონებში, ყოფილ კოლონიებში და სხვ (ილმაცი 2004, გვ. 23).

საზოგადოებრივი მულტილინგვიზმის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი არსებობს, მათ შორის ყველაზე ხშირია პოლიტიკური და ისტორიული ცვლილებებით გამოწვეული შემთხვევები.

პოლიტიკური ცვლილებებით გამოწვეული საზოგადოებრივი მულ-

ტილინგვიზმის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ითვლება ქვეყნის საზღვრების გაფართოებისა და კოლონიების არსებობის პერიოდი. „ტერიტორიული კოლონიზაციის შემთხვევაში დამპყრობელ ქვეყანას იძულებით შემოაქვს თავისი სახელმწიფო ენა და ნერგავს მას თავის კოლონიაში ძალდატანებით“ (როსი 2005, გვ. 5). მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ საფრანგეთის კოლონიები აფრიკაში. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ყოფილ კოლონიებს აფრიკაში დღეისათვის დამოუკიდებელი ქვეყნების სტატუსი აქვთ, ფრანგული ენა იმდენად სიდრმისეულად დაინერგა ყოფილ კოლონიებში, რომ იგი დღემდე ოფიციალური ენაა და აფრიკის ქვეყნების ხოციალურ და პულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ისევე, როგორც აღნიშნულ ქვეყნებში მცხოვრები ადამიანების ცხოვრებაში. „უნდა ითქვას, რომ აფრიკის კოლონიურ დაპყრობამდე სხვადასხვა ტომსა და რეგიონში სხვადასხვა ენა გამოიყენებოდა, ხოლო საზღვრები აფრიკის რეგიონებს შორის ენობრივი მონაცემების მიხედვით გადიოდა. კოლონიზაციის შემდეგ ყოველ ტომს რომ თავისი ენა პქონოდა, ისინი გახდებოდნენ დამოუკიდებელი ენისა და ტერიტორიის მქონე რეგიონები, ხოლო საფრანგეთის მიერ ფრანგული ენის დანერგვისა და მულტილინგვიზმის შემოტანის შემდეგ, შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ ფრანგებთან კონტაქტი, არამედ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ტომებს შორის ერთ ენაზე ურთიერთობაც“ (როსი 2005, გვ. 5).

ყოფილი კოლონიური ქვეყნები, რომლებიც დღეისათვის დამოუკიდებელი ქვეყნების სტატუსს ფლობენ, კვლავაც არიან გარკვეულად დამოკიდებულნი ენობრივ და კულტურულ დონეებზე იმ ქვეყნებთან, რომელთა კოლონიებსაც წარმოადგენდნენ. პოსტკოლონიური ქვეყნის განვითარებასთან ერთად, აღნიშნული მდგომარეობა და დამოკიდებულის რანგი, შესაბამისად, იკლებს ან იზრდება.

მოდერნისტული თეორიის განვითარების შემდეგ, გენდერული თანასწორობის იდეების, ფემინიზმის პარალელურად, ყალიბდება პოსტკოლონიალისტური თეორიაც. პოსტკოლონიალისტური თეორია რამდენიმე დისციპლინას ერთდროულად მოიცავს. მათ შორისაა: ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, თარგმანმცოდნეობა, კულტურის მეცნიერებები და სხვა.


პირველი გვლევები პოსტკოლონიალიზმის შესახებ მეოცე საუკუნის შესახებ ხანებიდან იწყება. კერძოდ, იმ დროიდან, როდესაც ინდოეთის ბრიტანულმა კოლონიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1947 წელს. ამის შემდგომ განსაკუთრებული ინტერესი გაჩნდა ე. წ. „მესამე მსოფლიოს ქვეყნების“ მიმართ. შესაძლებელი გახდა ყოფილ კოლონიებში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურულ, ენათმეცნიერულ, ლიტერატურულ და სხვა პროცესებზე მეცნიერული დაკვირ-

ვებაც. მეოცე საუკუნის 70-იან წლებში დაიბეჭდა ამერიკელი მეცნიერის, ედვარდ გ. საიდის წიგნი „ორიენტალიზმი“, რომელიც თანამედროვე ინტერდისციპლინურ თეორიას ეხებოდა პოსტკოლონიურ ქვეყნებზე დაყრდნობით. ეს წიგნი მალე იქცა სახელმძღვანელოდ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტშიც (ბჟაბჟა 1990, ბჟაბჟა 2000).


კოლონიური და პოსტკოლონიური ლიტერატურის დაკვირვების შედეგად წარმოიშვა მოსაზრება, რომ პოსტკოლონიური ლიტერატურა კოლონიურ დროსთან მჭიდროდ არის კავშირში და საჭიროა ამ ლიტერატურების დეკოლონიზაცია (ლომბა 1998).

ენათმეცნიერები აღნიშნავენ, რომ კოლონიზაციის პერიოდში ადგილი პქონდა ენის ძალადობრივად გავრცელებას, რაც თავისებურ კვალს ტოვებდა კოლონიის კულტურაზე, ასევე, ენობრივ კულტურაზე, რადგან ერთი კულტურა დომინანტობს მეორე კულტურაზე, რა დროსაც ადგილი აქვს ენობრივი ფორმების, ასევე სხვა კულტურული ხატების ხელოვნურად ჩანაცვლებას, არსებული ენობრივი ხატის იძულებით განადგურებას. ეს კი მიიღწევა არა სამხედრო მეთოდებით, არამედ ენის საშუალებით, რაც კიდევ უფრო დრმა კვალს აჩენს ეთნიკური ჯგუფის/ხალხის ცნობიერებასა და კულტურაში, რაც იღებება და აისახება ლიტერატურაში.


კოლონიზაციამდე



კოლონიზაციის შემდეგ



დეკოლონიზაციის შემდეგ



ევროპული მეცნიერება ერთმანეთისაგან განარჩევს ორიენტალისტურ / აზიურ აზროვნებასა და დასავლურ / ევროპულ აზროვნებას. მიუხედავად თავისი მრავალფეროვნებისა, ევროპული აზროვნება მაინც ევროცენტრისტულია, მომდინარეობს ძველი რომიდან და კონტინენტური სხვაობის მიუხედავად, დასავლურ / ევროპულ აზროვნებაში მოიაზრება ავსტრალია და ამერიკის კონტინენტის ნაწილი. შესაბამისად, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების, კონომიკური მიზნების, საზღვრების გაფართოების, მისიონერული საქმიანობების გადრმავების მიზნით არსებული კოლონიური პროცესიები აღმოჩნდენ სხვა აზროვნებისა და კულტურის დომინანტური გავლენის ქვეშ, ხოლო კოლონიალისტური მიდგომებიდან გამომდინარე, იმ სააზროვნო სივრცეში მოქმედი, რომელიც მათთვის არ იყო ბუნებრივი. ასევე, კოლონიალისტური ქვეყნის ენის გაბატონებით, მათი ენობრივი სურათი სრულიად შეიცვალა.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლონიალისტური თეორია ძირითადად ეყრდნობოდა ევროპის ქვეყნების კოლონიების შესწავლას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტ-საბჭოთა სივრცის ერთ-ერთ პოლიტიკურ-კულტურულ აღმნიშვნელად იქცა ცნება პოსტკოლონიური. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საბჭოთა კავშირს კოლონიური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები მართლაც ჰქონდა, უნდა ითქვას, რომ პოსტკოლონიური

დისკურსისათვის ნიშნებიც აშკარად შეიმჩნევა.

მთავარი კოლონიალისტური მახასიათებლები: საზღვრების გაფართოება და დომინანტი ქვეყნის ენის სახელმწიფო სტატუსი საბჭოთა კავშირის მაგალითზე სახეზეა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნები სხვადასხვა ისტორიულ და კულტურულ ორიენტირებზე დაყრდნობით ამყარებენ და აფართოებენ ურთიერთობებს სხვადასხვა სახელმწიფოსთან, არსებობენ დამოუკიდებლად, გარკვეულ გლობალურ გაერთიანებებსა და კავშირებში არიან გაწევრიანებულნი, მათი დეკოლონიზაცია ანუ ენობრივი, კულტურული, მენტალური გათავისუფლება კოლონიური დროისაგან მომავლის პრობლემად რჩება.

საზოგადოებრივი მულტილინგვიზმის მაგალითზე უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების საურთიერთო ენად უმეტეს შემთხვევაში რესული ენა რჩება, იმგიათ შემთხვევაში, ინგლისური. ყოფილი კოლონიალისტური ენა გამოიყენება სასაზღვრო რეგიონებში, ავტონომიურ ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებშიც.

მულტილინგვიზმის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ დირებულებათა ცვლა განსაკუთრებით შესამჩნევია თაობათა ცვლასთან ერთად. ასევე, ენათა (მეორე ენა, უცხო ენა, რეგიონალური ენა) ჩანაცვლების

საკითხი ასაკობრივ ასპექტში
შესაძლოა უფრო შესამჩნევი იყოს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას,
რომ საზოგადოებრივი მულტილინ-
გვიზმი არ არის თანამედროვე მოვლენა,
ისევე, როგორც კოლონიზაცია. ასევე,
გლობალიზაციის თანამედროვე მასშტა-
ბების გათვალისწინებით, შეიძლება

გიმსჯელოთ კოლონიალიზაციის თანა-
მედროვე სახეზე, როდესაც ეპონო-
მიკური და კულტურული დომინანტები
გარკვეულად ცვლიან სააზროვნო ხატს,
ენობრივ სურათებს, ეს ცვლილებები კი
განსაკუთრებით აისახება მცირე-
რიცხოვანი ხალხების კულტურაში.

ბამოჟანებული ლიტერატურა:

- როსი, 2005 - Roos, P. (2005). Kriterien zur Beschreibung von Mehrsprachigkeit unter besonderer Berücksichtigung des subsaharischen frankophonen Afrika und Niger. Grin Verlag: Norderstedt Germany.
- ილმაცი, 2004 - Yilmaz, A. (2004). Mehrsprachigkeit in der Schweiz. Gewinn oder Nachteil?
- ალბაირაკი, 2007 - Albayrak, B. (2007). Mehrsprachigkeit – Definitionen, Typen und wissenschaftliche Fragestellungen. Grin Verlag: Norderstedt Germany.
- ლოომბა, 1998 - Colonialism/Postcolonialism. 1998
- ბჰაბჰა, 1990 - Nation and Narration. 1990. ISBN 0-415-01483-2
- ბჰაბჰა, 2000 - Die Verortung der Kultur. 2000./The location of culture (englisch). 1994. (Aus dem Englischen übersetzt von: M. Schiffmann und J. Freudl). Stauffenburg Verlag, Tübingen.

Nino Popiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Multilingualism in the Society and Postcolonial Discourse

ABSTRACT

The term multilingualism can refer to rather different phenomena, in one of the cases it can be discussed as a state of the society. A number of factors influenced on the existence of multilingualism, such as international migration, colonialism, international border changes and etc. There are a lot of different reasons why multilingualism exists in the society. Political and historical changes are one the causes, such as colonial period and the expansion of state borders. Ex-colonies, which became independent countries later, are still linguistically and culturally depended on the ex-owner countries. But it should be mentioned that the level of independence are different in each case and within the development process it is either risen or fallen.

ნათია გორგაძე

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული მორისი
ურთიერთობების ცენტრი

06 ფობრაზიპების გამოყენება პითხვის უნარების განვითარებისთვის

აბსტრაქტი

მოსწავლეების კითხვის უნარების განვითარებაზე მუშაობის ტრენინგების კვალდაკვალ (რომელიც ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფიციალური დაფინანსებით განახორციელა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული მორისის ურთიერთობების ცენტრში), გთავაზობთ ინფოგრაფიკების შესახებ მოკლე სტატიას, რომელიც საშუალებას მოგცემთ, დაინახოთ, რატომ შეიძლება ინფოგრაფიკები მნიშვნელონი ინსტრუმენტი გახდეს წიგნიერების განვითარებისათვის. მეტი სიცხადისათვის, ერთ მაგალითზე ასევე გთავაზობთ მოსწავლეებთან ინფოგრაფიკებით მუშაობის, ჩვენი აზრით, ეფექტურ მეთოდს.

რა არის ინფოგრაფიკი და რატომ მიგვაჩნია, რომ იგი საკმაოდ საინტერესო მოსწავლეებთან მუშაობისას?

უდავოა, რომ რომ ინფორმაციის ვიზუალიზაცია და კომუნიკაცია 21-ე საუკუნის წიგნიერების აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენენ.

ინფოგრაფიკი გრაფიკების, ნახატებისა და ტექსტის ერთობლიობაა, რომელიც ადამიანებს აწვდის ინფორმაციას კომპლექსურ საკითხებზე. ამგვარი საკითხების გაგება მხოლოდ ტექსტური ფორმატით, სხვადასხვა მიზეზის გამო, საკმაოდ რთულია. ეს სირთულე კი რამდენიმე ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული. განვიხილოთ ორი, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.

1. საკითხის კომპლექსურობა - სირთულე გამოწვეულია ვრცელი მასალის ერთიანად გადმოცემისა და განმარტების აუცილებლობით ან სურვილით. ეს კი დიდი რაოდენობის ინფორმაციის მოპოვებას, გააზრებასა და დამუშავებასთან არის დაკავშირებული.

2. აუდიტორიის არასაკმარისი მზაობა, რომლისთვისაც როგორი მიიღოს საჭირო ინფორმაცია ტექსტური ფორმით, რაც ვრცელ ინფორმაციასთან მუშაობის არასაკმარისი გამოცდილებით, ენობრივი სირთულეებით, არასრული წინარე ცოდნით და სხვა უამრავი ფაქტორით არის განპირობებული.

სწორედ ამ შემთხვევაში, ინფოგრაფიკების მნიშვნელობა შემდეგ ასექტებში გამოიხატება:

- ის წარმოდგენს ვიზუალურ, თვალსაჩინო განმარტებას, რომელიც გვეხმარება გარკვეული საკითხები მარტივად გავიგოთ და მიღებული ცოდნა ეფექტურად მოვიხმაროთ.
 - ძლიერი ვიზუალური დატვირთვის მიუხედავად, შეიცავს სიტყვებსა და ნახატებს დინამიური, ლოგიკური თანმიმდევრობით;
 - იძლევა ძალიან კონკრეტულ და სხარტ დებულებებს, რომლებიც შეიძლება არ დავაკავშიროთ სხვა საკითხებთან და შესაბამისად, დამოუკიდებლად მივიღოთ განმარტება კონკრეტული საგნის / მოვლენის / მიმართულების შესახებ;
 - შესაძლებლობას იძლევა, დამალული თუ უხილავი ინფორმაცია გამოიტანოთ სინათლეზე;
 - იმგვარადაა დაგეგმილი, რომ საშუალებას იძლევა, საკითხის სწრაფი და თანმიმდევრული გააზრება მოხდეს;
 - და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის უნივერსალურია, ყველასთვის ერთნაირადაა გასაგები და, შესაბამისად, ნაკლებად არის დაკავშირებული აუდიტორიის კულტურულ მეობასთან.
- ყველა ამ თვისებიდან გამომდინარე, ინფორმაციების გამოყენება საკლასო ოთახში საქმაოდ ეფექტურად არის შესაძლებელი. ამოცანები, რომელთაც ინფორმაციები შეიძლება შეიცავდნენ, პირობითად სამად შეიძლება დაიყოს:
1. ინფორმაციები, როგორც ინფორმაციის ძირითადი წყარო,

- რომელიც მოკლე, სხარტი დებულებების ან დასკვნების სახითაც მოცემული;
2. წიგნიერების სასწავლი ვიზუალური და კრიტიკული ინსტრუმენტი, სადაც კრეატიული და შემოქმედებითი აზროვნებაა წახალისებული;
 3. ეფექტური საშუალება სტუდენტებისათვის, გამოთქვან საკუთარი ვარაუდები და და მოისმინონ მეგობრების აზრები... საგულისხმოა, რომ ინფორმაციების საშუალებით, მათი სკეციფიკიდან გამომდინარე, მოსწავლეს უვითარდება რიცხვების, სიტყვების, გრაფიკებისა და ნახატების ერთმანეთთან დაკავშირებულად აღქმისა და გამოყენების უნარები. გარდა ამისა, ინფორმაციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მოსწავლის მიერ მონაცემთა და ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის უნარების განვითარებაზე. ინფორმაციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლის გააზრების უნარის განვითარებისათვის, რადგან:
 - აკეთებს დემონსტრირებას, თუ რამხელა მნიშვნელობა ენიჭება საკვანძო სიტყვებს სრული ინფორმაციის გამოსახატვად, შესაბამისად, ავითარებს სხარტი გამოხატვის, რეზიუმირების უნარებს.
 - აძლევს მოსწავლეს სივრცეს და წარმოადგენს ერთგვარ გამოწვევას, რომ მან მოვლენებისა და ფაქტების

- ინტერპრეტიონება მოახდინოს და საკუთარი ხედვა სხვებსაც გაუზიაროს, რაც სხვისი ნააზრევის მოსმენასა და შეფასებასაც მოიცავს.
- მკაფიოდ გამოხატავს და მოსწავლის აზროვნებაში ამკიდრებს ისეთ კონცეპტუალურ ჩარჩოებს, რომლებიც მიზეზ- შედეგის, პრობლემა - გადაწყვეტის, კლასიფიკაციის, შედარებისა და დაპირისპირების, ფაქტებზე დაფუძნებული რეზიუმირების კონსტრუქციებისაგან შედგება.
- გარდა ამისა, ინფორმაციკები წარმოადგენენ არაჩვეულებრივ, მკაფიო, ექსპრესიულ და ემოციურ მაგალითს მოსწავლეებისათვის, თუ როგორ შეიძლება უზომოდ დიდი რაოდენობის განსხვავებული ინფორმაცია ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული და კომპლექსურად გადმოცემული.
- ცხადია, ჩნდება კითხვა, თუ რამდენად რელევანტურია დაწყებითი საფეხურის მოსწავლისათვის მსგავსი ტიპის ამოცანების დასახვა, განსაკუთრებით კი, როდესაც საქმე არამშობლიურ ენას ეხება. საკუთარი არგუმენტების დასაცავად, აქვე გთავაზობთ სადემონსტრაციო, ძალიან მარტივ ინფორმაციის და მასზე მუშაობის რამდენიმე მეთოდს. აქვე წინასწარ მინდა განვმარტო, რომ მსგავსი ტიპის მუშაობა არ არის აუცილებლად და მაინცდამაინც ერთი

გაკვეთილის ფარგლებში დასაგეგმავი. ამოცანები ნელ-ნელა, ეტაპობრივად და ძალდაუტანებლად უნდა იქნეს შეტანილი საკლასო ოთახში და გაკვეთილის მხოლოდ გარკვეულ, კარგად გააზრებულ და განსაზღვრულ პერიოდს მოიცავდეს.

„რომელი ცხოველია საუკეთესო დედა?“ - ძალიან მარტივი, საბავშვო ინფორმაციია. თუმცა, იგი ინფორმაციის ყველა მახასიათებელს შეიცავს. ნახატებზე ცხოველები და მათ ნაშიერები; ტექსტი - თითოეული ცხოველის დასახელება; რიცხვები, რომლებიც პროცენტულად აჩვენებს თითოეული ცხოველის დედობრივი ზრუნვის ხარისხს და ბოლოს, პროცენტების გრაფიკული გადანაწილება.

როგორ ვიმუშაოთ ინფორმაციით?

ერთი ვარიანტია:

1. მუშაობის საწყის ეტაპზე ვიყენებთ ინფორმაციკს და ბავშვებს „ვამზადებთ“ დედისა და მისი ნაშიერის ურთიერთობაზე სამუშაოდ.
2. ბავშვებს ვყოფთ ჯგუფებად ან ვაწყვილებთ და ვურიგებთ თითოეულ მათგანს შესაბამის ცხოველთან დაკავშირებულ წინასწარ მომზადებულ ტექსტებს. ტექსტები ინფორმაციული ხასიათისაა და რამდენიმე მარტივი წინადადებით ახასიათებს დედა ცხოველის მიერ საკუთარ ნაშიერზე ზრუნვას, მის დამოკიდებულებას.

3. ბავშვები ჯგუფში ან წყვილად
მუშაობენ საკუთარ ტექსტებზე,
რაც ტექსტებში მოცემული
მასალის გააზრებას მოიცავს.
აქტივობისათვის გარკვეული
დრო უნდა გვქონდეს
გათვალისწინებული.
- ჯგუფებს/წყვილებს რიგრიგობით
ვაძლევთ ინსტრუქციული
კითხვის შესაბამის მხარდაჭერას.
ბავშვებს ვთხოვთ,
ჯგუფში/წყვილში ჩამოაყალიბონ
ერთი წინადაღება, რომელიც
ყველაზე საინტერესოდ /
მნიშვნელოვნად მიიჩნიეს
ტექსტში. (რეზიუმირება)
4. ტექსტებზე მუშაობის შემდეგი
ეტაპი მთელ კლასში მუშაობით
იცვლება. მასწავლებელი
ბავშვებს თითოეული ცხოველის
ნაშერისადმი ზრუნვის
ხარისხის გამომხატველ
პროცენტს აცნობს და მეტი
თვალსაჩინოებისათვის ბავშვებს
პროცენტულ მაჩვენებელს წრეზე
წილობრივი მაჩვენებლით
უთითებს.

ამავე დროს, ამოცანიდან
გამომდინარე, ბავშვებს ვთავაზობთ მზა
კონსტრუქციებს, დაფაზე ან პლაკატზე,
რომლებიც მათ საკუთარი
არგუმენტების/დამოკიდებულების
გამოხატვაში და საკუთარი პოზიციის
დაცვაში დაეხმარება. მაგალითად:

ანალიზი

„ღორი უკეთესი დედაა, იმიტომ რომ...“
„მაიმუნი კიდევ უფრო კარგი დედაა,
იმიტომ რომ...“

„სპილო საუკეთესო დედაა, იმიტომ
რომ...“

ბავშვები საკუთარ, წინასწარ
მოცემულ არგუმენტებს, მზა
კონსტრუქციების საშუალებით
რიგრიგობით აგებენ.

მოსწავლეების მიერ
არგუმენტირების მზა კონსტრუქციებით
აგებას მასწავლებელი კითხვების
დასმით წაახსალისებს.

„რატომ გგონია, რომ ღორი უკეთესი
დედაა?“

„რატომ გგონია, რომ მაიმუნი კიდევ
უფრო კარგი დედაა?“ და ა.შ.

შედარება

„ღორი უკეთესი დედაა, ვიდრე მაიმუნი“;
„მაიმუნი უკეთესი დედაა, ვიდრე.....“

კლასიფიკაცია

კონსტრუქციები „უფრო - ვიდრე
- ყველაზე“ კლასიფიკაციის
შემთხვევაშიც შეიძლება გამოვიყენოთ.
თუმცა, ბავშვებს „სიკარგის“
კლასიფიკაციის საშუალება მივცეთ –
ახლა უკვე პროცენტული მაჩვენებლის
მიხედვით.

„სპილო საუკეთესო დედაა. მას
ყველაზე მაღალი შეფასება აქვს.“

„ძროხა, რვაფეხა, კატა და ქათამი
ერთნაირია. მათ ერთნაირი შეფასება
აქვთ.“

არგუმენტირება

„შენ რატომ გგონია?“
„შენ რატომ არ გგონია?“

რეზიუმე

„ესე იგი“

„შევთანხმდით“

კითხვის უნარების განვითარების
სპეციფიკური ამოცანებია:

1. **ლექსიკა** - ცხოველთა დასახელებები და ზმნები, მაგალითად, ეფერება, ზრუნავს, კვებავს, ა.შ. ასევე, ეწ. „ტრანზიტული“ სიტყვები და ფრაზები - ვიდრე, უფრო ყველაზე და ა.შ.
2. **დეკოდირება** - სიტყვისა და ხატების ერთმანეთთან დაკავშირება.
3. **გააზრება** - ანალიზი, შედარება-შეპირისპირება, კლასიფიკაცია, არგუმენტირება, რეზიუმე.
ეს ინფოგრაფიკი ძალიან მარტივი და ოვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. ცხადია, შესაძლებელია, ინფოგრაფიკი უფრო მოცულობით ტექსტურ მასალას მოიცავდეს, ნახატები მეტ ინფორმაციას გამოხატავდეს. ამ მოკლე სტატიის წერის დროს იმაზეც კი ვიფიქრე, რამდენად სწორია, ავარგიანობის საკითხი და დამოუკიდებელი ამოცანების დასმის შესაძლებლობას იძლევა.

თუმცა, ისევ და ისევ, ეს ინფოგრაფიკი მხოლოდ სადგმონსტრაციო ხასიათს ატარებს და რეალურად ბევრად უფრო საინტერესო, მრავლისმომცველი და გამომწვევი ამოცანების დასმის შესაძლებლობას იძლევა.

ამ მაგალითის მიხედვითაც შეიძლება იმის ჩვენება, რომ გაკვეთილების გარკვეული სერიის შემდეგ, კონფერენციის, დასკნითი გაკვეთილის დროს, ასევე ეფექტური იქნება ინფოგრაფიკების გამოყენება. ასევე, შესაძლებელია, მოსწავლეების ინტერესის გადვიძებისათვის ინფოგრაფიკი ერთგვარ შესავალ ნაწილად გამოვიყენოთ მუშაობის პროცესში.

ასევე, ეფექტურად მიმაჩნია, თუ მოსწავლეებს თავად ამჟავებთ ინფოგრაფიკების შექმნაზე. ეს მათთვის კრეატიული, შემოქმედებითი პროცესია და უამრავი სხვადასხვა მეთოდის გამოყენების საშუალებას იძლევა.

Natia Gorgadze

The Center for Civil Integration and Inter-Ethnic Relations (CCIIR)

Tbilisi State University

Use of Information Graphics to Develop Reading Skills

ABSTRACT

The article aims to present the training results conducted by The Center for Civil Integration and Inter-Ethnic Relations (CCIIR) with financial support of OSCE High Commissioner on National Minorities. The training included the issues of how information graphics (infographics) can improve reading skills and provide development of literacy in the schoolchildren. For more cleanliness in the article will be presented a sample of the teaching with infographic materials, as one of the useful and effective methods to develop literacy through the learners.

რუსულან ბრეგვაძე

ივანე ჯავახიშვილის ხახ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელის ფუძისა და ზოგიერთი პრენდის ფორმის სწავლება აზერბაიჯანელთათვის

აბსტრაქტი

სტატია ეხება სახელის ფუძისა და ზოგიერთი პრენდის ფორმის სწავლების საკითხებს აზერბაიჯანელთათვის შედარება-შეპირისპირებისა და მთარგმნლობითი მეთოდების გამოყენებით (ქართული და აზერბაიჯანული ენების მაგალითზე).

სახელის ფუძისა და ბრუნვათა მტკიცედ და სრულად შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მორფოლოგიის, ასევე სინტაქსის საკითხთა დაუფლებისათვის. ბილინგური სწავლების დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ ამ ორი ენის სტრუქტურული და ენობრივი თავისებურებები. ვფიქრობთ, ამგვარი საკითხების შეთავაზება დაეხმარება საპილოტე ბილინგვური სკოლების პედაგოგებს სახელმწიფო (ქართული) და მშობლიური (აზერბაიჯანული) ენების ინტეგრირებულად სწავლების პროცესში.

ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში საგანმანათლებლო სივრცე საგსეა ახალი და უახლესი ტექნოლოგიებით. ყველა სასწავლო დაწესებულების პედაგოგიური კოლექტივის წინაშე დგას ტექნოლოგიის ამორჩევის პრობლემა, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებას ყველა აუცილებელი ფაქტორით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისათვის. სწავლება ისე უნდა წარიმართოს, რომ ხელი შეეწყოს ადამიანის ინტელექტუალურ განვითარებას, თავისუფალი პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს თავისი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

მეცნიერთა, მკვლევართა და პრაქტიკოს მასწავლებელთა შორის დიდი ხანია არსებობს კამათი იმის თაობაზე, თუ როგორი მეთოდით უნდა ხდებოდეს უცხოური ენის სწავლება, საჭიროა გამოვიყენოთ დედაენა თუ პირიქით. ჩვენი აზრით არცერთი მეთოდის უარყოფა არ შეიძლება. მეთოდების მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა მასწავლებელმა გამოვიყენოს ის, რაც ეფუქტურია მოცემულ მომენტში, რათა არჩეული მეთოდი შეესაბამებოდეს ქურსის შინაარსს, დონეს და მიზნებს. აქტივობის გასაძლიერებლად საჭიროა სწავლების მეთოდებისა და ხერხების მონაცემებია.

კვლევის მეთოდები

მოვახდინეთ შესასწავლი მასალის ლინგვისტური ანალიზი, დაგაკვირდით სწავლის პროცესს, აღვრიცხეთ მსმენელთა შეთვისების ხარისხი და გამოყენების უნარ-ჩვევა. გავაანალიზეთ ზეპირი პასუხები და წერითი ნაშრომები. ჩავატარეთ მიზნობრივი ექსპერიმენტები. მიღებული შედეგები შევამოწმეთ პრაქტიკაში.

შინაარსი: შერჩეული სასწავლო მიზნების შესაბამისად მოხდა ცოდნის სფეროს შინაარსის განსაზღვრა (მათ შორის ჩვევები და ქცევა).

მეთოდი: მიზნების სიცხადემ მოგვცა შესაძლებლობა, რომ ზუსტად აგვერჩია მეთოდები.

შედეგები: ყოველი მეცადინეობის ბოლოს ვამოწმებდით, თუ როგორ მივაღწიეთ მიზანს. ვადგენდით შეფასების საშუალებებს, კრიტერიუმებს. ენის შემსწავლელის დახასიათება და შეფასება შესაძლებელი იყო წერილობითი და ზეპირი ტესტებით, სხვადასხვა სავარჯიშოების შესრულებით.

წლების მანძილზე არაქართველ სტუდენტებთან მუშაობამ (სულხან-საბა თრბელიანის სახელობის პედ. უნივერსიტეტში, შემდეგ ილიას სახ. უნივერსიტეტში და ამჟამად კი თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის ფარგლებში) დიდი გამოცდილება შეგვძინა.

თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ენის

მოსამზადებელი

ფარგლებში აზერბაიჯანულენოვან ჯგუფებს ვასწავლი საგანს “ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები”. ამ საგანში არსებობს მაღალ მეთოდურ დონეზე შედგენილი სახელმძღვანელო - „მიდამო”, სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისათვის (ავტორი - ნ. შარაშენიძე). ჩვენ ამ სახელმძღვანელოთი გმუშაობთ. სახელმძღვანელოში ტექსტები და დიალოგები მარტივი ყოფითი სიტუაციებიდან არის აღებული, რაც აადვილებს ტექსტის აღქმას და გაგებას.

2012 წელს აზერბაიჯანულენოვან ჯგუფში საპროგრამო მასალის შერჩევისას გავითვალისწინეთ მსმენელთა თხოვნა იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი საკითხის შესწავლა მომხდარიყო მათ მშობლიურ ენაზე თარგმნით. საპროგრამო მასალის შერჩევისას გავითვალისწინეთ ის, რომ 15 მსმენელიდან 6 ვერ ფლობს სამეტყველო უნარ-ჩვევებს როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ ენაში. არ არის დაუფლებული პრაქტიკული მეტყველების საფუძვლებს. დარიბი აქვს ლექსიკური მარაგი. 9 მსმენელი კი დაინტერესებულია ლინგვისტიკით, სურს აზერბაიჯანულ სკოლაში მომავალში ასწავლოს ქართული ენა.

მეორე ენის შესწავლის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლიური ენის ფაქტორს. სახელმწიფო ენის შემსწავლელმა სათანადოდ უნდა იცოდეს მშობლიური ენაც. ი. გოგებაშვილის აზრით, უცხოური ენის

შესწავლას „ცნობილი ენა უნდა უკაფავდეს, უნათებდეს გზას” (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4. თბ., 1957, გვ. 427)

მომავალმა პედაგოგმა, რომელმაც ქართული ენა უნდა ასწავლოს არაქართულენოვან სკოლაში, გრამატიკის საკითხები სრულად უნდა გააცნობიეროს, რომ შეძლოს პრაქტიკაში მისი გამოყენება. სტატიის მიზანია გაარკვიოს ქართული ენის მომავალი მასწავლებელი იმ სირთულეებში, რაც ქართულ ბრუნვათა ფორმების სწავლებასთან დაკავშირებით შეექმნება. მან უნდა იცოდეს ეს სირთულეები.

წლების განმავლობაში სასწავლო პროცესზე დაკირვების შედეგად ირკვევა, რომ სახელის ფუძისა და ბრუნვათა ფუნქციების საკითხთა შესწავლა სრულიად შესაძლებელია 7–8 კვირის განმავლობაში. ეს ხდება მსმენელის მშობლიური ენისა და ქართული ენის შედარება—შეპირისპირებით. დროდარო მივმართავთ ზოგიერთი საკითხის თარგმნას ქართულიდან აზერბაიჯანულ ენაზე და პირიქით. ი. გოგებაშვილი შედარება—შეპირისპირებით მეთოდს ასეთ შეფასებას აძლევს „ამ რიგზე დაყენებული სწავლება ენებისა მოზარდ თაობას შემოქმედებითს ძალასაც გაუძლიერებს, შედარებითს ნიჭს უფარჯიშებს, რადგანაც ყოველ ნაბიჯზე უცხოურ ენას ადარებინებს დედაქასთან და უხსნის მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებასა, ენის ბუნებას დრმად შეათვისებინებს და

ორკეც მეტყველებას მიანიჭებს” (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2. თბ., 1954, გვ. 224)

შედარება—შეპირისპირებას ვახდენო არა მარტო ორ ენას შორის, არამედ შესასწავლი ენის შიგნითაც. მოსწავლეებმა თუ იციან უკუმშველ სახელთა ბრუნვება, შედარება—შეპირისპირებით ადვილად გაიგებენ, როგორ ხდება კუმშვა. ამ ხერხის საფუძველზე შემოქმედებითად ითვისებენ ახალ მასალას, უვითარებს დაკვირვების, ძიებისა და აღმოჩენის უნარს, ლოგიკურ აზროვნებას.

სახელის ფუძისა და ბრუნვათა მტკიცედ და სრულად შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მორფოლოგის, ასევე სინტაქსის საკითხთა დაუფლებისათვის. სახელთა მორფოლოგის საკითხთა შესწავლის შედეგად მსმენელს ნათელი წარმოდგენა ექმნება ენის გრამატიკულ წყობაზე, მის ლექსიკურ შემადგენლობაზე, სტილზე, მართლმეტყველების საკითხებზე. ბრუნვისა და მათი ნიშნების ცოდნა საფუძვლად ედება ქართული ენის მართლწერის ჩვევათა გამომუშავებას. ქვემდებარის შეგნებულად სწავლა ბრუნვათა ცოდნის გარეშე შეუძლებელია, პირდაპირი დამატება ყოველთვის ბრუნვაცვალებადია, ირიბი დამატება მუდამ მიცემით ბრუნვაშია. თანდებულთა შესწავლისას ბრუნვათა ცოდნაა საჭირო. სახელთა მორფოლოგის გარეშე სინტაქსის ვერ გასწავლით. ამითაა განპირობებული,

რომ სახელთა შესწავლა სწავლების
საწყის ეტაპიდანვე იწყება.
მსმენელებს მივაწოდებთ ბრუნების

ტიპების ტაბულას:

კარგ შედეგს გვაძლევს სახელთა
ბრუნების ტიპებზე დაკვირვება.

I ტიპი	II ტიპი	III ტიპი
ბოლოთანხმოვნიანი სახელები	ბოლოხმოვნიანი კვეცადი	ბოლოხმოვნიანი უკვეცელი
1. სახელობითი ბრ. – ი	– 0	–0
2. მოთხოვნილი ბრ. – მა	–მ	–მ
3. მიცემითი ბრ. – ს	–ს	–ს
4. ნათესაობითი ბრ. – ის	–ის	–ს (ი)
5. მოქმედებითი ბრ. – ით	– ით	– თი
6. ვითარებითი ბრ. – ად	– დ	– დ
7. წოდებითი ბრ. – ო	– გ (ან ო)	– გ

სწავლის უნარის გასავითარებლად
კცდილობ, სხვადასხვა გზით ვუძიგო
მსმენელებს, დაფიქრდნენ სასწავლო
პროცესზე. მათ უნდა გააცნობიერონ,
რომ შეუძლიათ საკუთარი ქცევითა და
ქმედებით განსაზღვრული როლი
ითამაშონ სწავლის შედეგებზე.
ჯგუფური მუშაობისას დაბალი
ენობრივი კომპეტენციის მქონე
მსმენელებს შესაძლებლობას ვაძლევ,
დავალება შეასრულონ ისეთებთან,
რომელთაც მეტი ცოდნა აქვთ და
მათგან ბევრ უნარ-ჩვევას შეითვისებენ.
იმაზე უკეთესი რა შეიძლება იყოს,
ვიდრე კომპეტენციის განვითარება

სასწავლო პროცესში. ისინი იმყოფებიან
თანამშრომლობის გარემო-ში.

გქმნით ორ ჯგუფს. პირველ ჯგუფს
ქართულ ენაში არსებული ბრუნვათა
ფორმები უნდა გადაეთარგმნა
აზერბაიჯანულ ენაზე, ხოლო მეორე
ჯგუფს - აზერბაიჯანულ ენაში
არსებული ბრუნვათა ფორმები
გადაეთარგმნა ქართულ ენაზე.
პრეზენტაციის დროს მათ უნდა
აეხსნათ, რა მსგავსება და განსხვავებაა
ამ ორი ენის ბრუნვათა ფორმებს
შორის.

I ჯგუფმა შეასრულა დავალება:

- | | |
|---------------------------|--|
| 1. სახელობითი
adlıq | امباپا-ი მოვიდა
yoldaşım geldi |
| 2. მოთხოვნილი
nəqli | امباپا-მა მითხრა
yoldaşım dedi (მოხ) |
| 3. მიცემითი
yönlük | امباپا-ს უნდოდა
yoldaşım isteyirdi |
| 4. ნათესაობითი
iyiəlik | امგანاپ-ის ხმა მომესმა
yoldaşının sesini eşidirəm |

	5. Թոյթյացքօտո birgəlik	ամեանաց-ու զամայոն yoldaşılımla fəxr edirəm
	6. Յոտարյացքօտո zərflik	ամեանաց-աւ զարգա yoldaşlıǵa yarayır
II ՀՃՄՑՈ:	7. Վոճյեցօտո çaǵırı̄ş	ամեանաց-ու, զաօցոնց! yoldaş, eşitdinmi
	1. adlıq სახელածօտո	Ali gəldi ələni მოვიდა
	2. yiyelek ნათესაობօտո	Alinin kitabı yaxşıdı ალის წიგნი კარგია
	3. yönlük მიცემօտո	Aliyə yaxşı kitab bağışladılar ალის კარგი წიგნი აჩუქეს
	4. təsirlik ბრաლդյեցօտո	Alinin kitabxanaya apardılar ალი წაიყვანეს ბიბლიოთეკაში
	5. yerlik ადგილაծօտო	Alidə mənim kitabım var ალის ჩემი წიგნი აქვს
	6. cixislig გამოსვლօտո	Alidən kitabı aldım ალისაგან წიგნი ავიღე

ქարտუլში გაրდամաვաლո ՚Նմոն ՚Սյօնյէլի սամ ბრუნვաში გვեցցեա: I ՚Սյօնյէլի ՚Նմոնատան ՚Սաხելոնձութիւն - ՚Ամեանացո ՚Մովութ (yoldaşım gəldi), II ՚Սյօնյէլի ՚Նմոնատան ՚Մոտերոնձութիւն - ՚Ամեանացմա ՚Մոտերա (yoldaşım dedi (mənə)), III ՚Սյօնյէլի ՚Նմոնատան ՚Մոცյմութիւն - ՚Ամեանացս ՚Շնորհա (yoldaşım istəyirdi). ՚Աზերծանչանշալ ՚Ենանց ՚Տարգմնուսաւ ՚Սյօնյէլի ՚Սամուզը ՚Ցորմանի ՚Սախելոնձութ ՚Բրունვանուս.

ქարտუլ դա ՚Աზերծանչանշալ ՚Սախելուա ՚Բրունյեա ՚Ցանսեցացալցուա. ՚Ժար- ՚Կարտ ՚Ենանց ՚Շզութ ՚Բրունվա, ՚Կոլու ՚Ազերծանչանշալ ՚Ենանց ՚Ար ՚Արուս ՚Ազերծանչանշալ ՚Ենանց ՚Ար ՚Արուս

՚Բրունվեծո ՚Մոտերոնձութ (nəqli), ՚Մոյթյացքօտո (birgəlik), ՚Յոտարյացքօտո (zərflik), ՚Վոճյեցօտո (çaǵırı̄ş). ՚Կարտուլ ՚Ենանց ՚Ար ՚Արուս ՚Բրունվեծո: ՚Տəsirlik (՚Բրալդյեցօտո), ՚Yerlik (՚ადგიլაծօտո), ՚Cixislig (՚გაմოსվլօտո). ՚Աზերծանչանշալ ՚Cixislig (՚გամոսվլօտո) ՚Բրունցաւ ՚Ցանցութուա ՚Կարտուլո ՚Տանցեցալցուանո ՚Բրունվեծուս ՚Շեսწացլուսաւ).

՚Բրունվատա ՚Րոջուս, ՚Ցշմուսա ՚Ֆա՞րմույթունուս ՚Սապշմականաւ ՚Շեսწացլու-դամշմացեծուս ՚Շեմքց ՚Բրունվատա ՚Ցորմեծուս ՚Եվացլյեծուս ՚Շնորհա ՚Դաշտմութ ՚Օմքցնու ՚Սատու, ՚Րամցյենու ՚Սակորո ՚Օյնեծա ՚Բատ ՚Շեցնյեցլաւ ՚Ասատցուսեծլաւ.

ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციების სწავლებისას ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ ნათესაობით ბრუნვაში შეიძლება იდგეს მსოლოდ წინადადების არამთავარი წევრი. ამა თუ იმ წევრის გადმოსაცემად ამ ბრუნვის ფორმას ხშირად დაერთვის თანდებული ან ზმინიზედა თანდებულის მნიშვნელობით. ნათესაობითი ბრუნვის შესასწავლად მსმენელებს ვაძლევთ წერით დავალებას – კითხვებს ამომწურავი თავისუფალი პასუხებით (მაგ. თხზულება) დაფაზე იწერება შემდეგი კითხვები: რომელი სკოლა დაამთავრეთ? რამდენი წლის ხართ? რომელ ფაკულტეტზე სწავლობთ? ვინ არის თქვენი უნივერსიტეტის რექტორი? საინტერესოა თუ არა თქვენთვის ქართული ენის ლექციებზე დასწრება? რა არის თქვენი ჰობი?

ტექსტი ასეთ სახეს მიიღებს: დავამთავრე მ. ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული სკოლა. მე ოცი წლის ვარ, ჩემი ამხანაგი ცხრამეტის. ვსწავლობ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარული ფაკულტეტის მოსამზადებელ ჯგუფში. ჩვენი უნივერსიტეტის რექტორია ალექსანდრე კვიტაშვილი. მივგარს ქართული ენის ლექციებზე დასწრება. ჩვენი ჯგუფის სტუდენტები კარგად სწავლობენ. ჩემი ჰობი არის კალათბურთის თამაში. გაანალიზდება შემდეგი შესიტყვებანი: ახუნდოვის სახელობის, უნივერსიტეტის რექტორი, ქართული ენის ლექცია, კალათბურთის თამაში.

მიცემითი ბრუნვის ფუნქციათა განხილვისას ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ მიცემითი ბრუნვის ფუნქცია მრავალფეროვანია.

მოქმედებითი ბრუნვის სწავლება

სანამ უშუალოდ ამ ბრუნვის ფორმებს განვიხილავთ და გავაანალიზებთ, შემოგვაქვს სავარჯიშოები გრამატიკული უნარ-ჩვეულების ფორმირებისათვის. ეს ერთგვარი მოთელვაა მსმენელთათვის.

მსმენელები ერთმანეთს უსვამენ კითხვებს, რომლებსაც პასუხობენ რიგ-რიგობით: შენ რა გიყვარს საჭმელებიდან? – ქათამი ნივრით, ბადრიჯანი ნიგვზით, ფლავი ჭიშმიშით, ლობიო ქმრით და ჟეთით... ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ მივაწოდებთ მოქმედებითი ბრუნვის ძირითად ფუნქციებს.

უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვის ფორმებით შეიძლება გადმოიცეს დრო (დილით ჩაის ვსვამ), თანაობა, ერთობლიობა (ჩამოვიდა სტუმარი ცოლითა და შვილით), საჭურვლისობა (დანით ვჭრი, ჩაის კოვზით ვსვამ...), ვითარებას (ბავშვი ყურადღებით უსმენდა).

დიდ სირთულეს წარმოადგენს მოთხოვობითის, როგორც სპეციფიკური ბრუნვის სწავლების საკითხი. ამ ბრუნვის შესწავლისას მსმენელმა უკვე იცის ყველა დანარჩენი ბრუნვის ფორმა, მან იცის აგრეთვე ზმინის კატეგორიები. შესწავლილი აქვს მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი საკითხები.

დაფაზე დავწერ წინადადებას: „ქართველმა ხალხმა მოიპოვა დამოუკიდებლობა”. ამ წინადადებაში, გარდა იმისა, რომ სიტყვები გაანალიზდება და დახასიათდება მეტყველების ნაწილების და შესწავლილი კატეგორიების მიხედვით, უნდა გაირკვეს ურთიერთობა ასეთ სიტყვებს მორის: „ქართველმა ხალხმა”, „ხალხმა მოიპოვა”, შესიტყვებაში სიტყვის გარჩევა გაუადვილებს მსმენელს, უკეთ გაარჩიოს და გააანალიზოს ამ სიტყვათა ურთიერთობა სხვა სიტყვებთან. გასათვალისწინებელია ის, რომ აზერბაიჯანელი მსმენელის მშობლიურ ენაში მოთხოვთ ბრუნვა არ არის, ამიტომ სისტემატური ვარჯიშის შემდეგ, მას უნდა შეეძლოს გარკვევა, თუ რა ენობრივი თავისებურებების გამოა აქ ორივე სიტყვა (ქართველმა, ხალხმა) მოთხოვთ ბრუნვაში, როგორ იქნება სხვა ბრუნვებში, რომელ ბრუნვაში რა თავისებურებას ამჟღავნებს თანხმოვანფუძიანი ზედსართავი არსებითან და ა.შ. „ხალხმა მოიპოვა” აქ გაანალიზდება ამ სიტყვების გრამატიკული ურთიერთობა: რომ „მოიპოვა” ზმა გარდამავალია სხვა სიტყვებთან მიმართებაში. ე.ი. სუბიექტი მოქმედებს ობიექტზე, სუბიექტი მოთხოვთ ბრუნვაშია, რადგან მეორე სერიის წყვეტილის მწკრივის ფორმა. ეს მსჯელისთვისაც გამოიდგება და დაასაბუთებს: ქართულში გარდამავალი ზმის სუბიექტი ბრუნვაცვალებადია სერიების მიხედვით, მეორე სერიაში

ასეთი ზმის სუბიექტი მოთხოვთ ბრუნვაშია.

გარდამავალი წარსული დროის სრული ასპექტის ზმით გამოხატულ შემასმენელთან მოქმედი სახელი (რეალური სუბიექტი) მოთხოვთ ბრუნვაში (ერგატივში) და მოქმედების საგანი (რეალური ობიექტი) სახელობითში. დედამ გაზარდა შვილი.

დაფაზე ჩამოვწერ ქართულ ზმებს და გავაანალიზებთ: აკეთა, აშენა, ხნა, თესა, ხატა, კერა, აქო (მან ის). არანაკლებ მნიშვნელოვანია მსმენელებს განვუმარტო ქვემდებარე (სუბიექტი) „იცის” და „უწყის” ზმებთან. ეს ზმები პირველ სერიაშია და ქვემდებარე მათთან მოთხოვთ ბრუნვაში გვხვდება. მოთხოვთ ბრუნვაში კი ქვემდებარე მხოლოდ მეორე სერიის ზმებთან გვხვდება, როგორც ცნობილია, ეს ზმები მეორე სერიიდან პირველ სერიაში გადმოვიდნენ, დრო აწმეოსი გაიკეთეს, მაგრამ სუბიექტი მოთხოვთ ბრუნვისა შეინარჩუნეს, თორემ, წესით, სახელობითი ბრუნვა უნდა ჰქონდეთ...

ამ საკითხებს თუ შეგნებულად ვასწავლით არაქართველ მსმენელს, ადარ დაუშვებს მეტყველების დროს ისეთ შეცდომას, როგორიცაა მაგალითად „ნინო იცის გაკვეთილი”, ნაცვლად „ნინომ იცის გაკვეთილი” და სხვა.

მსმენელებს მივაწვდით აგრეთვე იმ გამონაკლის ზმათა სიას, რომლებიც ერთპირიანები არიან, მაგრამ მათი სუბიექტი ბრუნვაცვალებადია. ახლანდელი დროიდან ამ ზმებს

მსმენელები	გადაიყვანენ	წარსულ	დროში.
ახლანდელი			წარსული სრული
რას აკეთებს?			რა გააკეთა?
ტირის ის			იტირა მან
მდერის ის			იმდერა მან
ქრის ის			იქროლა მან
ლოცულობს ის			ილოცა მან

თანდებულიანი ბრუნვების ფუნქციები

-ვით თანდებული გვხვდება სახელობითსა და მიცემითში. დღევანდელ სასაუბრო თანამედროვე ქართულში სახელობითი ბრუნვის ფორმა უფრო გავრცელებულია. თანდებულის დართვა ამ ბრუნვაში არავითარ ცვლილებას არ იწვევს (თოვლივით). მიცემითი მოითხოვს აუცილებლად გავრცობილ ფორმას (თოვლსავით).

-ზე და -ში თანდებულების დართვისას სახელი თანხმოვანფუძიანი იქნება თუ სმოვანფუძიანი, ყოველთვის კარგავს ბრუნვის ნიშანს ს-ს. მაგ., სახლ(ს)ზე, წყარო(ს)ზე, სახლ(ს)ში, კლდე(ს)ში. შორის, ამ თანდებულის ხმარებისათვის ორი სახელი უნდა იყოს და კავშირით შეერთებული ან სახელი იდგეს მრავლობით რიცხვში: დებს შორის, მცხეთასა და თბილისს შორის.

ნათესაობით ბრუნვას ერთვის თანდებულები: -თვის, -გან, -ქენ. სამივე თანდებული დაერთვის როგორც გავრცობილ, ისე გაუგრცობელ ფორმას. ამხანაგისათვის, ამხანაგისათვის.

ა) თვის - ადნიშნავს დანიშნულებას, მიზანს, სამოქმედო

საგანს. ამხანაგისათვის წიგნი ვიყიდე, საქმისათვის იბრძვის, სეტყვას ვაზისათვის ზიანი მიუყენებია. ბ) გა - ადნიშნავს რეალურად მოქმედს, მიზეზს, მასალას, რომლისაგანაც რაიმე საგანი მზადდება. ვაზი ყინვისგან დაზიანდა, “ერთი ხისგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო” (ხალხური), შვილისაგან წერილს ვიღებ. გ) კენ - ადნიშნავს მოქმედების მიმართულებას: ფანჯრისკენ იხედება.

მე და შენ, ჩვენ და თქვენ ნაცვალსახელები ბრუნვისას ფორმას არ იცვლიან. ბრუნებისას მე - ნაცვალსახელი ნათესაობითში “ჩემ” ფორმას იღებს და თუ მას დავურთავთ თვის თანდებულს გვექნება: ჩემთვის, თქვენთვის, ჩვენთვის. ასევე გვექნება ჩემ მიერ, ჩემ გამო, ჩემ შესახებ, შენ მიერ, შენ გამო, შენ შესახებ და სხვ.

მოქმედებით ბრუნვას ერთვის გან თანდებული (ით-გან → იდან).

დაფაზე ჯგუფები წერენ ქართულ თანდებულიან ფორმებს,. რომლებსაც ერთობლივად ვთარგმნით:

სახელობითი -ვით (kimi), მოხუცს თოვლივით თეთრი წვერი ჰქონდა (Qocanin qar kimi a გ saqqali var idi).

მიცემითი -ზე (da, də), -ში (da, də), თან (yanina). ამ ხაფხულზე ზღვაზე

დაგისვენე (Bu yay dənizde dincəldim),
სოფელში ბევრი ცხოველია (Kənddə
çoxlu ev heivani varidir), ქალაქიდან
სოფელში ბებიასთან ჩავდიოდი
(Şəhərdən nənmim yanına kəndə qedirdim).

ნათესაობითი -თვის (üçün), -გან
(dan, dən), -კენ (tərəf). ბაზარში რისთვის
მიღიხარ? საჭმლისათვის (Bazara nə üçün
gedirsin? - yemək üçün). თამარისაგან
წერილი მივიღე (Tamaradan məktub aldım),
ხისგან კოვზი გამოვთავე (A ǵacdan qaşıq
duzəldim). სახლისკენ წაგედით (Evə tərəf
qedik).

մոქթյացներուն -օքան (dan, dən).
 յալայիօքան յարջո ամեացո մոզուց
 (Şəhərdən yaxşı xəbər eşitdi), საօքան
 ჩամռեցներուն (Haradan qəlmisiniz), գարյացն
 սօչուցը Շյմռոցօք (Bayrdan soyuq geldi).

ხშირად ხდება ნათესაობითისა და
მოქმედებითის -გან თანდებულის
ერთმანეთში აღრევა. მსმენელებს
ყურადღებას მივაქცევინებთ იმაზე, თუ
სიტყვას დაესმის კითხვა საიდან?
იქნება მოქმედებითში, თუ დაესმის
კითხვა რისგან?, გისგან? - მაშინ
ნათესაობითში.

დაკვირვების შედეგად დასტურდება:
 ნათესაობითი ბრუნვის გან თანდებული
 ემთხვევა აზერბაიჯანულის dan ნიშანს
 (თამარისგან - Tamaradan), მოქმედებითი
 ბრუნვის ნიშანი - დან
 აზერბაიჯანულად თარგმნისას dən
 უცვლელად გადმოვა (რა დროიდან - nə
 vaxtdən). პარალელს გავაცვლებთ
 ქართული მოქმედებითი ბრუნვის (დან)
 ნიშანსა და აზერბაიჯანული cixışlıq

უთანდებულო ბრუნვების
 შესწავლის შემოწმების მიზნით
 მსმენელებს მივცემთ დავალებას -
 ჩასვით სათანადო ბრუნვის ფორმით:
 მერიდება მასწავლებლ..., შვიდ...
 ნახევარია, ვანო მუშაობს დარაჯ...,
 ცხრა... აკლია 5 წუთი, მე ვარ
 უნივერსიტეტ... სტუდენტი, მე ვჭაბ
 ხორც..., რომელ დვინო... სვამ, დან...
 ვჭრი, სუსტ... ვარ.

თანდებულიანი ბრუნვების
 მართებულად ხმარების მიზნით
 მსმენელებს კუსვამთ რიგ-რიგობით
 კითხვებს, შემდეგ, ანალოგიურად,

მსმენელები ერთმანეთს ეკითხებიან და
პასუხობენ: სად მიღიხარ? (სახლში),
სად იყავი? საით იხედები? საიდან ხარ?
რომელი რაიონიდან? რაზე ვსაუბრობთ?
სად დევს წიგნი? რაში ასხია წყალი?

როდის ჩამოხვალ თბილისში?
(წელიწადის რომელ დროს?) ეს წერილი
ვისგან არის? ვისთვის გინდა ეს
საჩუქარი? რისთვის მიღიხარ ბაზარში?
მაღაზიაში რისთვის იყავი?...

გამოყენებული ლიტერატურა:

დავითიანი, 1966 – აკ. დავითიანი, რუსული სკოლის დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, 1966;
თვარაძე, 2005 – რ. თვარაძე, ქართული ენის საკითხების სწავლება არაქართულ სკოლებში (აზერბაიჯანული სკოლის მაგალითზე), 2005;
მაღლაკელიძე, მიქაძე, 1996 – ნ. მაღლაკელიძე, მ. მიქაძე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1996;
შანიძე, 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973;
შარაშენიძე, 2011 – ნ. შარაშენიძე, მიდამო, სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციებისათვის, თბ., 2011;
ჰუსეინზადე, 1973 – Huseinzadə, Müasir Azerbaycan dili, morfologiya, III hisse, Baki, 1973.

Rusudan Bregvadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Teaching Azerbaijanians name stem and some forms of turnover

ABSTRACT

The article refers to the questions of teaching of name stem and some forms of turnover for Azerbaijanis by using comparison – confrontation and translation methods (based on the examples of Georgian and Azerbaijani languages).

In studying name stem and some forms of turnover firmly and properly, a great importance has to master in morphology and syntax. It is necessary to take into account the structural and linguistic features of these languages for bilingual teaching. We believe that offering such issues will help to teachers of the pilot bilingual schools in integrated teaching process for those who lives in Georgia and whose native language is Azerbaijani.

ნანა ბარჯაძე-მიხანაშვილი

ნინოშვილის რაიონის განძის შოთა რუსთაველის სახ. №2

საჯარო სკოლის ქართულის ენის პედაგოგი

კლასბარეშე ღონისძიებები - ბილინგური სტატუსის მრთ-ერთი საშუალება

აბსტრაქტი

უმავის არავინ კამათობს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნიკური უმცირესობებისათვის მულტილინგვურ განათლებას, სახელმწიფო ენის დაუფლებას მათი სამოქალაქო ინტეგრაციისათვის და ამავე დროს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. „მულტილინგვური განათლების პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, რომელიც გულისხმობს, რომ შეიქმნას საერთო საკომუნიკაციო ენა სახელმწიფო და ამ ენის ფლობა იყოს გარანტი, ეთნიკურმა უმცირესობებმა მოახდინონ საზოგადოებაში ეფექტური სამოქალაქო ინტეგრაცია. ორენოვანი განათლება, ამასთანავე, წარმოადგენს ინსტრუმენტს, რათა ყველას მიეცეს მონაწილეობისა და პროფესიული წარმატების თანაბარი შესაძლებლობა" (ლიგიტა გრიგულე).

მესამე წელია, რაც ჩვენი სკოლა (დირექტორი სარქის დურგარიანი) ჩართულია ბილინგვურ სტატუსისა და ახორციელებს მულტილინგვური განათლების საპილოტე პროგრამას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებს საშუალება აქვთ, განათლება მიიღონ შერჩეულ საგნებში მშობლიურ და სახელმწიფო ენებზე. დაწყებით საფეხურზე ეს საგნებია: ხელოვნება, სიმღერა (IV კლ.), ფიზიკური კულტურა (III კლ.), საქართველოს ისტორია (VI კლ.), ხოლო მაღალ კლასებში - საქართველოს გეოგრაფია (IX კლ.) და ქიმია (XI კლ.). მოსწავლე ითვისებს საგნის შინაარსს და ქართულ ენას ინტეგრირებულად სომხური ენის

პარალელურად (70 % სომხურად, ქართულად - 30 %) საგნის და ქართული ენის მასწავლებლებთან ერთად. ქიმიას კი მხოლოდ საგნის მასწავლებელი ასწავლის ორივე ენაზე.

პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ გაკვეთილთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა აქვს კლასგარეშე ღონისძიებებსაც, რომელიც ხელს უწყობს გაკვეთილზე შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას, ლექსიკის გამდიდრებას, გრამატიკული კონსტრუქციების შედგენას და კომუნიკაციის უნარის განვითარებას, რომ აღარაფერი ვთქვათ შემოქმედებითი უნარისა და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაზე. იგი ხელს უწყობს მასწავლებლებსა და

მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და
მშობლებს შორის თანამშრომლობასაც,
პოზიტიური ურთიერთობის
ჩამოყალიბებას, მოტივაციის ამაღლებას
არა მარტო მოსწავლეებში, არამედ
მშობლებშიც ქართული ენის
შესახვავლად.

ვითვალისწინებთ რა ყოველივე
ამას, მუდამ ვცდილობთ, დავგეგმოთ
ხალისიანი, ინტერაქტიული,
ინტეგრირებული ბილინგვური
ლონისძიებები. ვიყოთ
ფასილიტატორები, დაგეხმაროთ
მოსწავლეებს, სწორად გამოიყენონ
გაკვეთილზე მიღებული ცოდნა და
პირიქით - ლონისძიებებზე მიღებული
ცოდნა გამოიყენონ გაკვეთილზე.
ჩაებნენ ლონისძიების მომზადებაში.
ასევე ვითვალისწინებთ მოსწავლეთა
სხვადასხვა შესაძლებლობას, ქცევის
წესებს, ცოდნას,
ინტერესებს და ასე
ვანაწილებთ აქტივობებს,
რათა არ მოხდეს
მიკერძოებული
გამორჩეულობის
შეგრძნება.

ვგეგმავთ როგორც
საკლასო, ასევე სასკოლო
ლონისძიებებს, რომლის
მთავარ კომპონენტად
ვაქციეთ მშობელი. ახალი
მოთხოვნების
საფუძველზე იუნესკოს
შეფასებით თანამედროვე
მასწავლებელს მოეთხოვება არა მარტო
მასწავლებლებთან თანამშრომლობა,

არამედ მშობლებთანაც, მათი ჩაბმა
სხვადასხვა აქტივობებში.

მშობელთა ჩართულობა
მნიშვნელოვანი კომპონენტია ეთნიკური
უმცირესობების განათლებასთან
დაკავშირებული პროგრამის
წარმატებისათვის. რადგან მოსწავლეზე
ვერავინ და არაფერი ახდენს ისეთ დიდ
გავლენას, როგორც ქართული ენის
შესწავლით დაინტერესებული მშობელი;
ამიტომ არც ერთ ლონისძიებას არ
ვატარებთ მშობელთა ჩართულობის
გარეშე. ვცდილობთ, ისინი არამარტო
პასიური მსმენელები იყვნენ, არამედ
აქტიურად ჩაებნენ ლონისძიების
მომზადებასა და ზოგჯერ
მსვლელობაშიც.

ხელოვნების და სიმღერის
მასწავლებლებთან: ვანიკ თევანიანსა და
სუსანა პოდოსიანთან ერთად,



ჩავატარეთ ინტეგრებული
ბილინგვური ლონისძიება „ოქროს
შემოდგომა“. ხელოვნების გაკვეთილზე

მოსწავლეებმა დახატეს, გამოძერწეს
ხილ-ბოსტნეული,

შეისწავლეს

შეხვედრისას დედას ეპალებოდა
მოსწავლეთა მიერ ქართულ ენაზე



შესაბამისი ქართული ლექსიკა, ლექსები. სიმღერის გაკვეთილზე ისწავლეს ქართული და სომხური სიმღერები. ღონისძიების მომზადებისას და არამარტო ღონისძიების მომზადებისას ყოველთვის ვითვალისწინებოთ „დაცული სასწავლო გარემოს ფორმირების მიღებას“ (ლიგიტა გრიგულე). ვცდილობთ, შევქმნათ კულტურულად და ლინგვისტურად თანასწორი გარემო. მასალები იყოს ორივე ენაზე, რაც ხელს უწყობს კულტურათა შორის პატივისცემას. ასე იყო ამ ღონისძიების დროსაც.

მშობლების დახმარებით გავაფორმეთ გარემო, ავაბით ჩურჩელები, მოვამზადეთ თათარა და ამოვავლეთ. ღონისძიებებზე ვცდილობთ, ჩავრთოთ მხიარული აქტივობები, თამაშები. მაგალითად, დედობთან

დაწერილ თხზულებებში „დედაჩემი“ ამოცნო საკუთარი თავი და თვალახვეულს ეპოვა შვილი. ამ დროს კომუნიკაცია მეტ-ნაკლებად ქართულად ენაზე მიმდინარეობდა.

ყოველწლიურად გატარებო სახაალწლო კარნავალს, „დედის დღისადმი მიძღვნის საღამოებს“, ქართული ენის დღისა და 26 მაისისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, გაწყობთ შეხვედრებს მოწვეულ სტუმართან. სტუმარი ხშირად მშობელიც არის.

შეხვედრა გვქონდა სოფლის ექიმთან ჰასმიკ დურგარიანთან, რომელსაც დამთავრებული აქეს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი და იცის ქართული, რაც ერთგვარი სტიმული იყო არამარტო მოსწავლეებისთვის არამედ მშობლებისთვისაც. შეგხვდით

ფოტოხელოვანს გოგა ჩანადირს.
შეხვედრები ყოველთვის კითხვა-პასუხის
რეჟიმში მიმდინარეობს.

ტრადიციად ვაქციეთ სასწავლო
წლის ბოლოს შემაჯამებელი
ღონისძიებები: „როგორ გავიზარდეთ”,
„მომავალ შეხვედრამდე”, ლაშქრობები
და ექსკურსიები. ასევე,
ყოველწლიურად, 1 ივნისს,
ვმასპინძლობთ წმ. ნინოს გზაზე
მომავლებს, რომლებიც ერთ დამეს
ათენებენ მოსწავლეთა ოჯახებში.

ვიგოდსკის აზრით, ენის ათვისება
უფრო ადვილად ხდება ცხოვრებისეულ

სკოლაში.დაქსწრები გაპვეთილებს და
მონაწილეობა მიიღეს ერთობლივ
ღონისძიებაში „ჩვენ, ყველას, ერთი
სამშობლო გვაქვს”. წაიკითხეს ლექსები,
ქართულ და სომხურ ენებზე,
შეასრულეს ქართული და სომხური
ცვეკვები და სიმღერები. გეოგრაფიის
მასწავლებელთან (გაბრიელ
კაზარიანთან) ერთად მოვაწყეთ სადამო
„ ვიცნობდეთ საქართველოს”, სადაც
მოსწავლეებმა წარმოადგინეს
გეოგრაფიის გაპვეთილზე შეძენილი
ცოდნა. მოსწავლე საუბრობდა ორივე
ენაზე. ზოგჯერ კი ერთი მოსწავლე -



სიტუაციებში, ვიდრე საკლასო ოთახში.
ამ მიზნით მოსწავლეებმა ერთი დღე
გაატარეს ნინოწმინდის ქართულ

სომხურად, მეორე - ქართულად.
მასწავლებლისთვის საერთოდ და
განსაკუთრებით ბილინგური

სწავლების ქართული ენის მასწავლებლისთვის ყველაზე მთავარია მოსწავლეთა სიყვარულისა და ნდობის მოპოვება. „ნდობის და სიყვარულის ატმოსფეროა აუცილებელი, რათა ბავშვის გულიცა და ცნობიერებაც დია იყოს იმისთვის, რაც ბავშვს მიეწოდება“ - გვასწავლის დიმიტრი უზნაძე. ამას კი მასწავლებელი მხოლოდ მაშინ შეძლებს, როცა სიყვარული და ნდობა თავად მისგან წამოვა. ენის შემსწავლელები, მოსწავლეები უნდა დარწმუნდნენ რომ მასწავლებელს უყვარს, პატივს სცემს მათ ენას, ისტორიას, კულტურას და თვითმყოფადობას. სწორედ, ამ მიზნით, ვესტუმრეთ ერევანში მხითარ სებასტიის სასწავლო კომპლექსს (აშოგ ბლიანი). დავათვალიერეთ ქალაქი, ვიყავით ეჩმიაძინში. გადაწყვეტილი გვაქვს საღამოს მოწყობა გეოგრაფიაში „საქართველო და სომხეთი“, ისტორიაში - „ჰაოსი და ქართლოსი ძმები იყვნენ“.

ორენვანი ღონისძიებების მომზადება და ჩატარება უფრო გვაახლოებს ბავშვებთან.

უფრო ხშირია კომუნიკაცია ქართულ ენაზე და უფრო კომფორტულია არაქართულ ენოვანი მსმენელისათვის - კონკრეტულად მშობლებისა და თემის წარმომადგენლებისათვის (მით უმეტეს, რომ სოფელი სომხებითაა დასახლებული, არ ცხოვრობს არც ერთი ქართული ოჯახი) ყველა ერთად

ვდელავთ და განვიცდით, ყველას ერთი მიზანი გვაქვს, ერთი სამუშაო და ოცნებაც ერთი - ყველას მოვაწონოთ თავი! - კარგი იყო მასწავლებელო?

კარგად წავიკითხე? რა კარგად იმდერა კარლენმა! ანიმ რა კარგად იცეპვა! როგორ მეშინოდა! შენ კი როგორ ყვიროდი! ეს უკვე შეფასება და კრიტიკაა... საკუთარი თავისა და ერთმანეთისადმი და შესრულებული სამუშაოს ერთგვარი ანალიზიც. ყველანაირი შემოქმედებითი პროცესი ხომ ანალიზსა და შეფასებას მოითხოვს, რასაც ბავშვები სკოლიდანვე უნდა მიეჩიონ. დონისძიების ანალიზს და შეფასებას მშობლებიც აკეთებენ და მოწვეული სტუმრებიც, რაც ასე აუცილებელია ჩვენი განვითარებისთვის, რადგან ანლიზთან ერთად ვსწავლობთ კიდეც. სწავლას კი მასწავლებლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. რაც მთავარია, ყველა დონისძიება ორიენტირებულია მოსწავლეზე - მოსწავლეებს ეძლევათ ორივე ენის პრაქტიკულად გამოყენების საშუალება. კარგად ჩანს ბილინგვური განათლების უპირატესობა მოსწავლეთა ლინგვისტური და კოგნიტური განვითარების თვალსაზრისით. ასე რომ, კლასგარეშე დონისძიებები ხელს უწყობს პუმანური, მოქალაქეობრივი და ტოლერანტული პიროვნების აღზრდას, რაც ბილინგვური სწავლების მიზანიცაა.

Nana Barjadze – Mikhanashvili

Georgian as a second language and bilingual teaching teacher in
Gandza №2 school

Outdoor activities – as one of the way of bilingual teaching

ABSTRACT

The importance of multilingual education for non Georgian population to learn a state language is not a subject of arguments in the society. On the one hand multilingual education for minorities is a way for preserving and developing identity and on the other hand to learn state language for integration in the society.

The multilingual education is a part of the state policy and it aims to create a united communicative language for the country and knowledge of the state language will be the guarantee for all citizens to involve in the social and cultural life of Georgia.

The bilingual education will be an instrument for personal and professional development. (Ligita Grigule)

ირინე შუბითიძე

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათ შორისი
ურთიერთობების ცენტრი

მეორე ენის სტაგლების სტრატეგიები ზრდასრულიათვის

აბსტრაქტი

უცხო ენის სტაგლების საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ტარდება უამრავი კვლევა, რომელთა შედეგებს ჰყავს თავისი მომსრულები, ისევე, როგორც ოპონენტთა მთელი არმია... თუმცა, ფაქტია: მეორე ენის სტაგლა-სტაგლება უდავოდ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ადამიანთა წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნების პარალელურად...
სტატიაში წარმოდგენილი იქნება მეორე ენის სტაგლების საკითხი ზრდასრულთა ასაკობრივი ჯგუფისთვის. წარმოვადგენთ იმ ძირითად სტრატეგიებს/მეორებს/მიდგომებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ერთნაირია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის, თუმცა მეტად მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისთვის, რომელთა წინაშეც მეორე ენის სტაგლების აუცილებლობა დადგა შედარებით მოზრდილ ასაკში, ვიდრე ეს რეკომენდებულია სხვადასხვა კვლევისა თუ დაკვირვების შედეგად.

შესავალი

ჩვენს ყოველდღიურობაში მეორე ენისა თუ, ზოგადად, უცხო ენის შესტაგლის მზარდმა მოთხოვნილებამ ლინგვისტიკის სფეროს განვითარებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შესძინა. ენის მკვლევართა წინაშე დადგა საკითხი – რა გზებით, მეორებითა თუ საშუალებებით არის შესაძლებელი მეორე ენის სტაგლებისას დასახული მიზნების მიღწევა. არსებობს უამრავი გარემოება, რომლებიც დიდ-წილად განსაზღვრავენ ენის სტაგლების შედეგებს. ამ გარემოებათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ასაკობრივი თავისებურება, სოციო-კულტურული გარემო, გენეტიკა, ინდივიდუალური შემცნებითი უნარები,

და ა.შ., მაგრამ ყველა შემთხვევაში ერთ-ერთი საკვანძო საკითხი ენის სტაგლების მეორებია, მიდგომები და სტრატეგიებია, რომელთა ძირითადი არსი მეტ-ნაკლებად ყველა ინდივიდისთვის ერთგვარია, თუმცა განსხვავდება ფორმა და შინაარსი დასახული მიზნების და ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად.

წინამდებარე სტატია განიხილავს მეორე ენის სტაგლების სტრატეგიებს, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არა ერთადერთი, თუმცა, უმნიშვნელოვანების კომპონენტია მეორე ენის სტაგლა-სტაგლების პროცესში.

ვიდრე უშუალოდ სტატიის მთავარ თემაზე გადავალო, შესავალშივე

გავმიჯნავთ ტერმინებს „მეორე ენა“ და „უცხო ენა“, რადგან ხშირად ხდება ხოლმე ამ ტერმინების გაიგივება ან აღრევა. ეს ორი დეფინიცია ერთმანეთისგან განსხვავდება თავისი არსით და დანიშნულებით, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ასპექტებში ისინი ერთმანეთს ფარავენ.

მეორე ენას ადამიანები სწავლობენ ყოველდღიური კომუნიკაციის აუცილებლობიდან გამომდინარე, ანუ სწავლა განპირობებულია სასაუბრო ენის საჭიროებებიდან ყოლელდღიურ ცხოვრებაში. (მაგსოუპა, ივანსი, 2004). მაშინ, როცა უცხო ენას ხშირ შემთხვევაში ინდივიდები ეუფლებიან აკადემიური მიზნებისთვის, კარიერული წისწვლისთვის, ან უბრალოდ ახლის ძიების და სხვადასხვა ენის ცოდნის სურვილიდან გამომდინარე. აქედან გამომდინარე პირველი შემთხვევისგან განსხვავებით უცხო ენის სწავლა უფრო ნებაყოფლობითა, ხოლო მეორე ენის სწავლა სოციალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია განსაკუთრებით უმცირესობების შემთხვევაში. მაგალითად, საქართველოში მცხოვრები არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ინგლისური, გერმანული და სხვადასხვა ევროპული ენები წარმოადგენს **უცხო ენას**, რადგან ამ ენებს ყოველდღიური საკომუნიკაციო ფუნქცია არ აქვთ საქართველოს არცერთ რეგიონში, მაშინ, როცა ქართული მათთვის არის მეორე ენა, რადგან წარმოადგენს სახელმწიფო ენას და სავალდებულო და აუცილებელია მისი ცოდნა

საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქისთვის განურჩევლად ერთნიკური წარმოშობისა, განსაკუთრებით მათ ვისაც სურს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლა, კერძო ან საჯარო სექტორში მუშაობა და, ზოგადად, ქვეყნის სოციო-კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა.

სტატიის მიზანია, წარმოადგინოს მეორე ენის სწავლების ძირითადი სტრატეგიები, რომლებიც საინტერესო იქნება განსაკუთრებით ზრდასრულებისთვის, მეორე ენის სწავლების პროცესის საინტერესოდ და პროდუქტულად წარმართვისათვის.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სწავლების სტრატეგიები შესაძლოა გამოიყენებოდეს მცირე ასაკობრივი ჯგუფის ენის შემსწავლელთათვისაც, თუმცა, ზრდასრულებში წარმატების შესაძლებლობა გაცილებით მაღალია, იმის გავითვალისწინებით, რომ ზრდასრულს თავად შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს კონკრეტული სტრატეგიის შერჩევაში ენის სწავლის პროცესში წარმოქმნილი სირთულეების, საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობების და მის წინაშე მდგარი სამომავლო გეგმების გათვალისწინებით.

ზრდასრულებში ენის სწავლების აუცილებლობა და შესაძლებლობები კაცობრიობის განვითარება შეუქცევადს ხდის ცვალებადობის პროცესს ადამიანთა არსებობის ნებისმიერ სფეროში, არც ზოგადად

სწავლა / სწავლების პროცესია გამონაკლისი. იცვლება სწავლის მეთოდები/სტრატეგიები იმის მიხედვით, რა კონკრეტული მიზნები დგება ადამიანთა წინაშე. უცვლელია მხოლოდ მეორე ან უცხო ენის მიმართ სწავლის მოთხოვნილება ნებისმიერი სოციოკულტურული ჯგუფის წარმომადგენლისათვის.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევების დიდი ნაწილი ამტკიცებს მცირე ასაკში ენის სწავლის უპირატესობას. ამ თეორიის მხარდამჭერნი მშობლებს მოუწოდებენ, მეორე ან უცხო ენებისადმი ბავშვის ადაპტაცია ჯერ კიდევ მუცლადყოფნის პერიოდშივე მოხდეს. (<http://www.sciencedaily.com/releases/2010/02/100216142330.htm>) თუმცა, ერთია – რა არის უკეთესი და მეორე – რა შესაძლებლობები არსებობს იმისათვის, რომ საუკეთესო დანერგო პრაქტიკაში. იქიდან გამომდინარე, რომ მცირე ასაკში ძალიან ბევრი წინააღმდეგობა არსებობს ბავშვისათვის სრულყოფილ ენის სწავლებისათვის, უკანასკნელ პერიოდში აქტუალური გახდა მეორე ან უცხო ენის სწავლა/სწავლება ზრდასრულთათვის. გარკვეულწილად, ეს განაპირობა არსებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა მოთხოვნილებებმა საზოგადოების მიმართ, რაც გულისხმობს ენის შესწავლას აკადემიური მიზნებისათვის, კარიერული წინსვლისათვის, ან, ზოგადად, სოციალიზაციისათვის,

აქტიური სამოქალაქო ჩართულობისა და თანამონაწილეობისთვის.

ზრდასრულთა ასაკობრივი ჯგუფისთვის ენის სწავლას, როგორც უპე აღვნიშნეთ კვლევებით დასაბუთებულ შედეგებზე დაყრდნობით, არ აქვს იმდენი დადებითი მახასიათებელი, როგორც ეს მცირე ასაკობრივი ჯგუფისთვისაა, თუმცა საზოგადოების მუდმივი განვითარების აუცილებლობიდან გამომდინარე, რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება შესაძლოა ზრდასრულთა განათლების უპირატესობად ვაქციოთ და ამ ჭრილში განვიხილოთ მეორე ენის დაუფლების პროცესში. მაგალითად, პედაგოგს შეუძლია სწავლების სტრატეგიების შერჩევის პროცესში აქტიურად ჩართოს ენის შემსწავლები, მასთან ერთად შეიმუშაოს სასწავლო გეგმა და ინდივიდუალური თვითშეფასების ინსტრუმენტი ენის შემსწავლებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს მისი მოტივაციის გაძლიერებას, რომელიც, ასაკის მატებასთან ერთად, თავისთავად ყალიბდება და ძლიერდება ინდივიდებში. აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა უმრავლესობა უპე საკუთარი სურვილით და წინასწარ განსაზღვრული მიზნებით იწყებს ენის შესწავლას, რაც ენის სწავლა-სწავლების პროცესს საინტერესოს და პროდუქტულს ხდის. ზრდასრულებში განსაკუთრებით სწრაფად ხდება საკომუნიკაციო ენის დაუფლება, თუმცა, ასევე, ინდივიდუალური საჭიროებებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე

აკადემიური მიზნებისთვის ენის შესწავლაც დროის შედარებით მცირე მონაკვეთში არც თუ იშვიათი ფაქტია ჩვენს ყოველდღიურობაში. არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ მშობლიური ენის როლი მეორე ენის დაუფლების პროცესში, რაც ზრდასრულთა ენის სწავლების კიდევ ერთ მნიშვნელოვან დადებით მახასიათებლად შეიძლება განვიხილოთ. ვგულისხმობთ მშობლიურ ენაში არსებული სიტყვათა მარაგის, გრამატიკული სტრუქტურების, ასევე ზოგადი წიგნიერებისა და განათლების დონის „საშენ მასალად“ გამოყენებას მეორე ენის სწავლებისას, რის შესაძლებლობასაც იძლევა ზრდასრულობის ასაკობრივი პერიოდი.

მეორე ენის სწავლების სტრატეგიები

სტატიის ეს ნაწილი ეხება მეორე ენის სწავლების ძირითად სტრატეგიებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეუძლიათ გამოიყენონ ენის სწავლების პროცესში მოზარდებმა ან ზრდასრულებმა, მათი კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.


მთარგმნელობით-გრამატიკული მეთოდი (Grammar-Translation Method)

„მთარგმნელობით-გრამატიკული მეთოდი მეორე ან უცხო ენის

სწავლებისას განეკუთვნება ისეთ მეთოდს, რომელიც ძირითადად იყენებს თარგმანის და გრამატიკული სტრუქტურებზე დაფუძნებულ აქტივობებს ენის სწავლების პროცესისათვის“ (რიჩარდსი, შმიდტი 2002).

ეს მეთოდი ევროპაში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ფართოდ გამოყენებოდა ლათინურისა და ბერძნული ენების შესასწავლად და, მისი არსიდან გამომდინარე, ორიენტირებული იყო უფრო მეტად კითხვისა და წერის უნარების განვითარებაზე, ვიდრე საკომუნიკაციო უნარებზე. აღნიშნული მეთოდის ცალმხრივობამ განაპირობა სწორედ მოგვიანებით ბუნებრივი მიღგომის მეთოდით (NATURAL APPROACH) ზემოაღნიშნულის ჩანაცვლება, რომელიც მეტ აქცენტს სამეტყველო ენის განვითარებაზე აკეთებდა. მთარგმნელობითი-გრამატიკული მეთოდის მიხედვით, პრაქტიკის დიდი ნაწილი მიმართულია მთარგმნელობითი უნარის განვითარებაზე კონკრეტული სავარჯიშოებით იმ სიტყვების მარაგისა და გრამატიკული სტრუქტურების გამოყენებით, რომელთაც ენის შემსწავლელი ეუფლება მეორე ენის შესწავლის პროცესში.

თარგმანის უნარების განვითარება



აუდიოლინგური *Lingual Method)*

აუდიოლინგური მეთოდი ეფუძნება ბიპევორისტულ თეორიას, რომელსაც პირდაპირი სწავლების მეთოდთან (Direct Method) ბევრი საერთო აქტს. ეს ერთგვაროვნება შემდეგში მდგომარეობს: ენის სწავლის პროცესში მშობლიური ენის გამოყენება მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი და კომუნიკაცია და აზროვნების მთელი კონცენტრაცია ძირითადად უნდა მოხდეს შესასწავლ ენაზე. ახალი ლექსიკის თუ გრამატიკული წესების მიწოდება უნდა ხდებოდეს მარტივად და გასაგებად სამიზნე ენაზე (target language).

გრამატიკის როლის წინ წამოწევა ენის სწავლების პროცესში დამახასიათებელია აუდიოლინგური მეთოდისთვის, რაც მას განასხვავებს პირდაპირი სწავლების მეთოდისგან, რომელიც მეტ აქცენტს მდიდარ სიტყვათა მარაგზე აკეთებს.

პირდაპირი მეთოდი (The Direct Method)

პირდაპირი მეთოდი ან, როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ – ბუნებრივი მიღგომის მეთოდი, ორიენტირებულია ენის შესახებ ცოდნაზე, ვიდრე ენის გრამატიკული თუ სხვა სტრუქტურების სიდრმისეულ ცოდნაზე, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს, ენის შემსწავლელის პოტენციალი მთლიანად მიმართოს პრაქტიკული და კომუნიკაციისთვის სასარგებლო ენობრივი ელემენტების შესწავლისკენ.

ენის სწავლების მსგავსი მიღგომა დასავლეთ ევროპაში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციის პროცესების გამოძახილი იყო, რომელიც პრაქტიკული ცოდნის შეძენისკენ იყო მიმართული.

სახელწოდებიდან გამომდინარე, ამ მეთოდის ძირითადი პრინციპია მეორე ენის სწავლებისას იმ ბუნებრივი მიღგომების გამოყენება, რომელსაც ადგილი აქვს მშობლიური/პირველი ენის შესწავლის პროცესში (http://www2.uni-wuppertal.de/FB4/anglistik/multhaup/methods_elt/4_direct_method.htm). დღესდღეობით ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა უცხო თუ მეორე ენის შესწავლის პროცესში, რომელიც გულისხმობს კომუნიკაციისთვის აუცილებელი ფრაზეოლოგიისა და წინადადებების შესწავლას, გრამატიკული წესების დრმა ანალიზის გარეშე.

ეს მეთოდი გამოიყენება ყოველდღიური პრაქტიკული საკომუნიკაციო ენის შესწავლისთვის და ძირითადად სამეტყველო უნარების განვითარებას ემსახურება, განსხვავებით მთარგმნელობით-გრამატიკული მეთოდისგან, რომელიც ენის სიღრმისეულ შესწავლისა და აკადემიური უნარების განვითარებისკენაა მიმართული.

კომუნიკაციური მიღგომა (Communicative Approach)

კომუნიკაციური მიღგომა წარმოადგენს სხვადასხვა მეთოდის ერთობლიობას და 70-იანი წლებიდან

იწყებს განვითარებას. როგორც სახელმოდება მიგვანიშნებს, ეს მეთოდი ძირითადად გამოიყენება საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებისთვის. ამ მიღომის მომხრეებს მის ერთ-ერთ ძირითად ღირსებად მიაჩნიათ, რომ ენის შემსწავლელს შესაძლებლობა ეძლევა, საკუთარი ნააზრევი გამოხატოს თავისუფლად, თუნდაც ნათქვამი შეიცავდეს გარკვეულ გრამატიკულ ან სხვა სახის შეცდომებს, ანუ ძირითადი აქცენტი იმაზე კეთდება, მსმენელამდე მიიღანო შენი ნააზრევი. მაშინ, როცა აღნიშნული მეთოდის მოწინააღმდეგებებს მიაჩნიათ, რომ ამგვარი მიღვომა ხელს უწყობს შეცდომების უგულებელყოფას და შეუძლებელს ხდის ენის სრულფასოვან ათვისებას (<http://www2.uni-wuppertal.de/FB4/anglistik/multhaup/methods_elt/6_communicative_language_teaching.htm>). ამ მიღვომის მიხედვით, ენის სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გაბმულ მეტყველებაზე და არა გრამატიკულ და ლექსიკურ გამართულობაზე.

დასკვნა

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ ენის სწავლას ნებისმიერ ასაკში დაძლევადი პროცესია, თუმცა მთავარია სწორი მიმართულება და მოტივაცია მიზნის მისაღწევად.

ზრდასრულობის პერიოდში ენის შემსწავლელს მეტ-ნაკლებად უკვე აქვს განსაზღვრული კონკრეტული მიზნები, რისთვისაც ენას სწავლობს. სწორედ ამის გათვალისწინებით, მას შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს პედაგოგთან ერთად იმ მეთოდებისა და მიღვომების არჩევაში, რომლებიც მის სამომავლო მიზნებთან უფრო მეტადაა თანხვედრაში. ენის შემსწავლელის ასაკი ზრდასრულობის პერიოდში საშუალებას იძლევა, შესასწავლი მასალა თუ მეთოდიკა მორგებული იყოს კონკრეტულ მიზნებს, რაც გულისხმობს საკომუნიკაციო / ყოველდღიურ და აკადემიურ ენას შორის არჩევანის გაკეთებას.

გამოყენებული ლიტერატურა

მატსუოკა, ევანს, 2004 - Matsuoka, Evans , 2004 - Matsuoka. R ., & Evans, D.R. 2004.,

Socio-Cognitive Approach in Second Language Acquisition Research

(http://www.ncn.ac.jp/04_for_medical/kiyo/ar/2004jns-ncnj04.pdf)

რიჩარდსი, როჯერსი, 1986 - Richards , Rodgers , 1986 - Richards, J. C., & Rodgers, T. S. 1986.. .

Approaches and Methods in Language Teaching. Cambridge: Cambridge University Press

რიჩარდსი, შმიდტი, 2002 - Richards, Schmidt , 2002 - Richards, J. C., & Schmidt, R. 2002., .

Longman Dictionary of Language Teaching and Applied Linguistics. Pearson Education Limited.

<http://www.sciencedaily.com/releases/2010/02/100216142330.htm>

http://www.ncn.ac.jp/04_for_medical/kiyo/ar/2004jns-ncnj04.pdf

http://www2.uni-wuppertal.de/FB4/anglistik/multhaup/methods_elt/4_direct_method.htm

http://www2.uni-wuppertal.de/FB4/anglistik/multhaup/methods_elt/6_communicative_language_teaching.htm

<http://web.cortland.edu/andersmd/cog/cog.html>

Irine Shubitidze

Center for Civil Integration and Inter-Ethnic Relations

Second Language Teaching Strategies for Adult Learners

ABSTRACT

Due to the actuality of the second language teaching in modern society, a number of researches are being conducted. The results are obviously subject of arguments through the opponents and proponents.

It should be mentioned that second language acquisition for adults is undoubtedly getting particularly important field for the linguists, to take into account the rising socio-economical development and requirements towards a society in our reality.

The article aims to present the second language teaching issues for adults and it will be discussed basic strategies/methods or approaches to be used for second language teaching especially for adults, who have to learn second language for specific reasons later, then it is recommended by researchers.